



სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის

ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური
ექსპლუატაციისა და სექსუალური
ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ
(ლანზაროტეს კონვენცია)



ყოველი
მეზუთე



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის

ევროპის საბჭოს კონვენცია
სექსუალური ექსპლუატაციისა
და სექსუალური ძალადობისაგან
ბავშვთა დაცვის შესახებ
(ლანზაროტეს კონვენცია)

დოკუმენტი მომზადებულია ექსპერტ-კონსულტანტის, ქ-ნ სევერინა სპასოვას, მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალურ, ჯანდაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხთა კომისიასთან თანამშრომლობით.

გარეკანის ავტორი : ჯემა აგუსკა © ევროპის საბჭო

გამოცემის თარიღი : 2011 წლის იანვარი

განმეორებითი გამოცემის თარიღები : 2011 წლის სექტემბერი,
2011 წლის დეკემბერი

განახლებული გამოცემის თარიღები : 2012 წლის დეკემბერი,
2013 წლის დეკემბერი

სოციალურ, ჯანდაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხთა
კომისიის სამდივნო

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

67075 Strasbourg Cedex

Tél : +33 (0)3 90 21 47 78

Fax: +33(0)3 90 21 56 49

<http://assembly.coe.int>

სარჩევი

1. ევროპის საბჭო და საპარლამენტო ასამბლეა.....	5
2. საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის წინათქმა	7
3. ზოგადი მიმოხილვა	11
სახელმძღვანელოს შესავალი და მიზნები.....	11
კონტექსტი	13
მოცემულ სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო ნორმები	17
ევროპის საბჭოს საქმიანობა აღნიშნულ სფეროში.....	20
ეროვნული პარლამენტებისა და საპარლამენტო ასამბლეის როლი ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში	22
4. კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია)	27
კონვენციის მიზანი	27
დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი	28
ტერმინთა განმარტებები.....	28
პრევენციული ღონისძიებები.....	30
პრევენციის საკითხებში სპეციალიზებული ორგანოები და საკოორდინაციო უწყებები	35
მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებები	36
ჩარევის ღონისძიებები	39

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებებზე	42
კომპეტენციის კრიტერიუმები სამართალწარმოების დასაწყებად და დანაშაულთა დასასჯელად	50
იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა	52
საჩქცეები და დამამძიმებელი გარემოებები	52
ნასამართლეობა	53
პროცედურები.....	54
სქესობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა შესახებ ეროვნული მონაცემების რეგისტრაცია და შენახვა	58
საერთაშორისო თანამშრომლობა	59
მონიტორინგის მექანიზმი - მხარეTa კომიტეტი	60
ფუნქციები	61
კონვენციის ურთიერთმიმართება სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან	62
კონვენციაში ცვლილებების შეტანა	62
დასკვნითი დებულებები	63
5. ბოლოთქმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე	65
დანართი I: ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია ევროპის საბჭოს ხელშეკრულებათა სერია - No. 201.....	67
დანართი II: ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილი	109

1. ევროპის საბჭო და საპარლამენტო ასამბლეა

ევროპის საბჭო კონტინენტის ყველაზე ძველი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 1949 წელს; იგი აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს, რომლებიც 800 მილიონზე მეტ ევროპელს წარმოადგენენ და ხუთ დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოს (კანადა, ვატიკანი, იაპონია, მექსიკა და ამერიკის შეერთებული შტატები).

ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია:

- ▶ ადამიანის უფლებების, საპარლამენტო დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა ყველა წევრ სახელმწიფოში;
- ▶ კონტინენტის მასშტაბით, ხელშეკრულებების შემუშავება წევრ სახელმწიფოთა სოციალური და სამართლებრივი პრაქტიკის დაახლოვების მიზნით; და
- ▶ ევროპული იდენტურობის გაცნობიერებისა და ყველაზე დიდი გაერთიანების ხელშეწყობა, რომელიც, განსხვავებულ კულტურათა მიღმა, ეფუძნება საერთო ღირებულებებს.

1990 წლის ნოემბრის შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 22 ქვეყნის გაწევრიანებამ, ევროპის საბჭოს ნამდვილი პან-ევროპული განზომილება შესძინა. ამიერიდან, მისი ძირითადი დანიშნულებაა იმოქმედოს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარმა საყრდენმა და დამცველმა დიდი ევროპის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, დაეხმაროს მათ პოლიტიკური, სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმების უკეთ წარმართვასა და განმტკიცებაში, ასევე საუკეთესო გამოცდილების გაზიარების გამარტივებაში ისეთ სფეროებში,

როგორებიცაა ადამიანის უფლებები, ადგილობრივი დემოკრატია, განათლება, კულტურა და გარემოს დაცვა.

ევროპის საბჭოს მუდმივი შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი). წესდების შესაბამისად, მას გააჩნია ორი დამფუძნებელი ორგანო: მინისტრთა კომიტეტი, რომელიც შედგება წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან და საპარლამენტო ასამბლეა, რომელშიც შედგება 47 ეროვნული პარლამენტის დელეგაციებისაგან.

636 დეპუტატი, რომლებიც შეადგენენ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლევას (www.assembly.coe.int) იკრიბებიან წელიწადში ოთხჯერ, რათა განიხილონ აქტუალური საკითხები და საერთო გამოწვევები და ევროპულ მთავრობებს მოუწოდონ მოქმედებისა და საკუთარ ქმედებებზე ანგარიშვალდებულებისაკენ. ისინი სიტყვით გამოდიან მათ მიერვე შერჩეულ თემებზე, 800 მილიონი ევროპელის სახელით, რომლებსაც წარმოადგენენ. ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებსაც ევროპის საბჭოში წარმოადგენს მინისტრთა კომიტეტი, ვალდებული არიან უპასუხოთ მათ შეკითხვებს. ეს პარლამენტარები წარმოადგენენ დიდი ევროპის დემოკრატიულ სინდისს.

2. საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის წინათქმა

პარლამენტარები გულწრფელად და მტკიცედ უჭერენ მხარს სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის საქმეს. ამ მიზნით ჩვენი ასამბლეა ევროპის საბჭოს საპარლამენტო განზომილების ფარგლებში ახორციელებს ხუთწლიან კამპანიას სახელწოდებით „ყოველი მეხუთე“. მინისტრთა კომიტეტმა ახლახანს მიიღო ასამბლეის შეთავაზება, ეს ინიციატივა კიდევ ერთი წლით, 2015 წლის ბოლომდე, გაგრძელდეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის საბჭო თანამშრომლობენ ბავშვთა უფლებებისა და ღირსების დასაცავად. მათ მიერ შემუშავებული უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის კონვენცია“ („ლანსაროტეს კონვენცია“, CETS No. 201) - მიზნად ისახავს ბავშვებზე ძალადობის აღმოფხვრას. ყველას ერთად შეგვიძლია, მივაღწიოთ ამ მიზანს და დავიხსნათ ჩვენი პატარები შიშისა და ძალადობისაგან.

ევროპის მასშტაბით არსებული მონაცემების თანახმად, ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ძალადობის შემთხვევათა უმრავლესობაში მოძალადე უცხო ადამიანი არაა: ბავშვებს უმეტესწილად მათივე ნაცნობები ავიწროვებენ. ეს „ნდობის წრე“, როგორც წესი, ოჯახის წევრების, მეგობრების, მეზობლებისგან შედგება. თუმცა, მასში ხშირად არიან მასწავლებლებიც და ის ადამიანები, რომლებსაც ბავშვებზე ზრუნვა ევალებათ. ძალიან ხშირად მოძალადე მსხვერპლის დუმილითა და უხმოდ ტანჯვით

სარგებლობს და დაუსჯელი რჩება. ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ ძალადობისა და დუმილის ეს წრე.

უდიდესი სიფხიზლე და მზადყოფნა გვმართებს სულუფრო მზარდი და ფართოდ გავრცელებული საფრთხეების წინაშე, როგორიცაა დამნაშავეთა მიერ ინტერნეტის საშუალებით ბავშვებთან დაახლოვება და ამით ბოროტად სარგებლობა ან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გადაღება და ამ მასალის ინტერნეტში გავრცელება. ინტერნეტის შესაძლებლობები საშუალებას აძლევს ბოროტმოქმედებს, კარგად შეინილბონ და ართულებს მათ ამოცანას, ვინც ასეთ დამნაშავეთა დაუსჯელობის ფენომენს ებრძვის. ამიტომ საჭიროა, ყველანი ფეხზე დავდგეთ და გავერთიანდეთ ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად. პარლამენტარებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, მთავრობებს, პოლიციას, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასამართლო სისტემებს - ყველას მნიშვნელოვანი როლი აქვს ამ პროცესში და ერთმანეთთან თანამშრომლობა ევალება.

ევროპის საბჭოს სამართლიანად შეუძლია, იამაყოს ამ კამპანიის ოთხწლიანი ინტენსიური მუშაობის მიღწევებით, რაც კამპანიის სამივე განზომილების ერთიანი ძალისხმევისა და თითოეული ჩართული მხარის აქტიურობის დამსახურებაა. „ლანსაროტეს კონვენციას“ ყველა წევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი და სულუფრო იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც კონვენცია უკვე რატიფიცირებულია. თუმცა, მოდუნება ნაადრევია, რადგან ინიციატივა „ყოველი მეხუთე“-ს მიზანი, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შეწყვეტა, ჯერ მიღწეული არაა. საჭიროა, უკეთ განვაკითვროთ ჩვენი საკომუნიკაციო საშუალებები (როგორიცაა, მაგალითად, 2013 წელს დამზადებული ვიდეოკლიპი „ტბა“¹⁾), რათა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ამ მიმართულებით, მეტ ქვეყანაში მოხდეს „ლანსაროტეს კონვენციის“ რატიფიცირება და მაქსიმალურად შეივსოს მისი შესრულების თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებები.

1. იხილეთ ჩვენს ვებ გვერდზე: <http://www.assembly.coe.int/oneinfive/video/default-EN.asp>

წინამდებარე სახელმძღვანელო ჩაფიქრებულია, როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც გვთავაზობს გზებს კონვენციის დამატებითი ღირებულების უკეთ გასააზრებლად. მასში გამოკვეთილია ის მგრძნობიარე საკითხები, რომელთა განმტკიცებაც აუცილებელია ადგილობრივ კანონმდებლობებში. სახელმძღვანელოში მოცემულია წარმატებული გამოცდილების მაგალითებიც. მწამს, რომ ეს სახელმძღვანელო ყველასთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო და დასაყრდენი იქნება ბავშვების კეთილდღეობისთვის ბრძოლის საქმეში აქტიურად ჩასართველად.

მე, როგორც საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, მოვუწოდებ ყველა პარლამენტარს, ძალისხმევა არ დაიშუროს „ლანსაროტეს კონვენციისა“ და კამპანია „ყოველი მეხუთე“-ს მხარდასაჭერად, რათა ბოლო მოვუღოთ ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას. ჩვენი ძალისხმევა ხელს შეუწყობს საზოგადოების ფართო მობილიზაციას ჩვენი პატარების ბედნიერი და უსაფრთხო ბავშვობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ უკვე გავაკეთეთ არჩევანი ვითარების შესაცვლელად და მკაფიო გზავნილი მივაწოდეთ მთელ ევროპას: ბავშვებზე სექსუალური ძალადობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული და სერიოზული პრობლემაა და მის მიმართ ტოლერანტულები ვერ ვიქნებით. ჩვენ ძალგვიძს, შევუქმნათ ბავშვებს უფრო უსაფრთხო გარემო და დავიცვათ ისინი ძალადობისა და ტრავმებისაგან. ესაა მიზანი, რომლისთვისაც ძალისხმევას არ დავიშურებთ.

ან ბრასერ
ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე

3. ზოგადი მიმოხილვა

*« სთქვი, სთქვი ყოველი, რადგან ბოდვა ენით არ თქმული
ათრთოლებულს გულს ჰკბენს უსიტყვოდ და შუა გაჰხეთქს »*

უილიამ შექსპირი

სახელმძღვანელოს შესავალი და მიზნები

ბოლო წლების განმავლობაში, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საკითხებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ევროპის საბჭოსა და მისი წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ დღის წესრიგში. სექსუალური ძალადობა ბავშვებისათვის დიდი ტანჯვის წყაროა, რომლის წინააღმდეგ ყველა ერთნაირი მონდომებით უნდა იბრძოდეს. ამავდროულად, ძალადობისა და ექსპლუატაციის კონკრეტული ფორმების მიხედვით, გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციფიკური ღონისძიებები.

2005 წლის მაისში, ვარშავის მე-3 სამიტზე, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა იკისრეს ვალდებულება აღმოეფხვრათ ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმა და განსაკუთრებით, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციასთან მიმართებით, შეემუშავებინათ სპეციფიკური ღონისძიებები, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, სამართლებრივი მექანიზმებიც. აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, 2006 წელს მინიტრთა კომიტეტმა კრიმინალური პრობლემების შემსწავლელ ევროპულ კომიტეტს (CDPC) დაავალა სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვის საკითხზე არსებული საერთაშორისო მექანიზმების განხილვა, რათა შეფასებულიყო ახალი საერთაშორისო მექანიზმის შექმნის საჭიროება და შესაბამის შემთხვევაში, იგი შექმნილიყო.

2007 წლის 25 ოქტომბერს, ლანზაროტეში, წევრ სახელმწიფოთა შორის მიღწეული ფართო კონსენსუსის საფუძველზე, ხელმოსაწერად გაიხსნა საერთაშორისო დონეზე ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტი სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის შესახებ. 2010 წლის 1-ლი ივლისს, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის კონვენცია, რომელიც ასევე ცნობილია « ლანზაროტეს კონვენციის » სახელით, ძალაში შევიდა. დღეისათვის (2011 წლის დეკემბერი), კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 15-მა წევრმა სახელმწიფომ და ხელი მოაწერა 28 წევრმა სახელმწიფომ.

კონვენციის ინოვაციური ხასიათი და დამატებითი ღირებულება მდგომარეობს მის მრავალდისციპლინურ მიდგომაში. იგი ითვალისწინებს ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასა და სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით პრევენციული ზომების გატარებას, ამ დანაშაულთაგან დაზარალებული ბავშვების დაცვასა და დამნაშავეთა დასჯას. აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება შეფასდეს, როგორც სრული და დინამიური, ვინაიდან იგი ცდილობს მოიცვას სექსუალური სახის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ასპექტი და ქმნის მონიტორინგის მექანიზმს, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს შესაძლებლობას მისცემს შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. კონვენციისთან მიერთება, გარკვეული პირობებით, ასევე შესაძლებელია ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოებისა და ევროპის კავშირისათვის.

ევროპელი პარლამენტარებისათვის განკუთვნილი წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია ბავშვებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს საპარლამენტო კამპანიის ფარგლებში, რომელიც ნაწილია პროგრამისა « ვაშენოთ ევროპა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად ». კამპანიას, რომელიც დაიწყო რომში 2010 წლის ნოემბერში, ორი მიზანი აქვს: ერთი მხრივ ხელი შეუწყოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს ნორმების - მათ შორის

ლანზაროტეს კონვენციის - ხელმოწერას, რატიფიკაციასა და გამოყენებას ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ და მეორე მხრივ, აამაღლოს საზოგადოების ყურადღება ბავშვის უახლოესი გარემოცვის მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობის მამუტაბების მიმართ, ისევე როგორც მისი პრევენციისა და მხილების საშუალებებზე.

მოცემული სახელმძღვანელოს უმთავრესი დანიშნულებაა კიდევ უფრო გაზარდოს პარლამენტართა ყურადღება იმ უბედურებასთან მიმართებით, რომელსაც ევროპა მრავალი წელია ებრძვის: ბავშვთა მიმართ ნებისმიერი ფორმით განხორციელებული სექსუალური ძალადობა. ამასთანავე, იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ლანზაროტეს კონვენციის ხელმოწერას, რატიფიკაციასა და იმპლემენტაციას, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოსა და მისი ყველა წევრი სახელმწიფოს მთავარ ინსტრუმენტს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ. ამ მიზნით, სახელმძღვანელო პარლამენტარებს აწვდის პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც გამოყენებული იქნება პარლამენტში, მათი საქმიანობის ფარგლებში და მათ მთავრობებთან მიმართებით, რაც გაადვილებს ამ ახალი, სრულიად ინოვაციური ინსტრუმენტის გააზრებასა და პოპულარიზაციას. აღნიშნული სახელმძღვანელო, ეროვნულ კანონთა შესაბამისი დებულებების ფონზე, ნათელყოფს, თუ რა ფორმით შეიძლება აისახოს მისი დებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში.

კონტექსტი

ბავშვთა ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბავშვის უფლებათა ყველაზე მძიმე დარღვევა, რომელიც მოკლე და გრძელვადიან კვალს ტოვებს მის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ფსიქოლოგიურ განვითარებასა და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე. უკვე დადგენილია, რომ მსგავსი შემთხვევები არც თუ ისე იშვიათად ხდება: ყოველი ხუთი ბავშვიდან ერთმა, ერთხელ მაინც, განიცადა სექსუალური ძალადობის აქტი ცხოვრებაში. თუმცა სხვადასვა წყაროებიდან,

კერძოდ პოლიციიდან, სასამართლო ინსტანციებიდან, სამედიცინო სამსახურებიდან, არასამთავრობო და ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან თუ სხვა უწყებებიდან მიღებული მონაცემები აისბერგის მხოლოდ ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ასეთი ფაქტების გახმაურება, ჩადენის მომენტშივე, იშვიათად ხდება. მსხვერპლი მათ შესახებ საუბრობს თვეების, მეტიც, წლების შემდეგ. ხშირად, დუმილი მხოლოდ ზრდასრულ ასაკში ირღვევან არასოდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2006 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, 18 წელზე ნაკლები ასაკის 150 მილიონმა გოგონამ და 78 მილიონმა ბიჭმა განიცადა იძულებითი სექსუალური კავშირი და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2000 წელს დაახლოებით 1,8 მილიონი ბავშვის სექსუალურ ექსპლუატაციას ჰქონდა ადგილი პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის სექტორებში. UNICEF-ის შეფასებით, მსოფლიოში ყოველწლიურად, სულ ცოტა, 2 მილიონი ბავშვი ზღდება სექსის ინდუსტრიის მარწყუებში.

ამ სფეროს მკვლევარები არასრულწლოვანზე სექსუალურ ძალადობას განმარტავენ, როგორც ბავშვის ან მოზარდის ნებისმიერი სახის მონაწილეობას სექსუალურ ქმედებებში - ისე, რომ მათ არ ძალუბთ გააცნობიერონ, რომ ეს შეუთავსებელია მათ ასაკთან და ფსიქოსექსუალურ განვითარებასთან - რომელსაც ისინი განიცდიან იძულების, ძალადობის ან მოხიზვლის გზით, ან რომელიც არღვევს სოციალური ტაბუს ოჯახის როლის შესახებ². საერთაშორისო სამართლებრივ ტექსტებში, ტერმინი ბავშვზე სექსუალური ძალადობა გულისხმობს ცუდად მოპყრობას, რომელიც გამოიხატება სხეულთან კონტაქტით თუ კონტაქტის გარეშე, სხვადასხვა აქტებით, როგორებიცაა ინცესტი,

2. პირველები, ვინც აღნიშნული საკითხით დაინტერესდნენ, იყვნენ : რ. კრუგმანი და დ.პ. ჯონსი (« ინცესტი და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები », In Battered Child, University of Chicago, 1980) და რ.ს. და ს.კ. კემპები (მზრუნველობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე, საერთო საიდუმლო: სექსუალური ძალადობა ბავშვებსა და მოზარდებზე, New York, NY, W. H. Freeman and Co., 1984).

გაუპატიურება, იძულებითი ურთიერთშეხება, ეროტიკული ხასიათისკოცნა, პროსტიტუცია, პორნოგრაფია, ექსპიზიციონიზმი, პორნოგრაფიულ სცენებში მონაწილეობა, სექსუალური მიზნებით ბავშვის იძულება³. ყველა ეს ფაქტი, რომლებიც შეიცავს ფიზიკურ და მორალურ უხეშობას, სისხლისსამართლებრივად დაკვალიფიცირებულია, როგორც გარყვნილი ქმედება ან გაუპატიურება.

ყველაზე ხშირად, სექსუალური ძალადობა ჩადენილია ბავშვის უშუალო გარემოცვაში მყოფი პირების მიერ, რომლებიც მისი ნდობით სარგებლობენ - ოჯახის წევრი, ახლო გარემოცვიდან ან საადმინისტრაციო წრიდან. ძალადობის დაახლოებით 80% აღნიშნულ გარემოში ხდება. ბავშვისთვის ძალზე რთულია განცდილის სიტყვებით გამოცემა. ბავშვისა და მისი ოჯახისთვის სექსუალობასა და სექსუალურ ძალადობაზე საუბარი სირცხვილის გრძნებას იწვევს. ბავშვი, რომელიც ხშირად პარალიზებულია თავისი აგრესორის ფსიქოლოგიური ტყვეობის ქვეშ, დასჯის შიშით, ძალადობას დუმით განიცდის. მას ეუბერხულება ამხილოს მასზე განხორციელებული ძალადობა, როდესაც ნათესავურ კავშირში იმყოფება მოძალადესთან ან მისი არსებობა ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული. ზოგჯერ, მსხვერპლმა არც კი იცის მსგავსი ფაქტების მხილების მიზნით არსებული გზებისა და საშუალებების შესახებ ან საკმარისად არ არის საკუთარ თავში დარწმუნებული და უსარგებლოდ მიაჩნია ამის გაკეთება. ბავშვებზე განხორციელებული სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის სიტუაციების გაუხმაურებლობის სხვა წყაროს წარმოადგენს თავად ის გარემო, სადაც ასეთი ფაქტები ხდება (პროსტიტუციისა და ბავშვებით ვაჭრობის ფარული ქსელები, დახურული და ტაბუდადებული ოჯახური გარემო, ბავშვთა დაცვის უწყებები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, ბავშვთა სახლები, ინვალიდ ან ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ბავშვთა დაწესებულებები, ქუჩაში მცხოვრები ბავშვები და ა.შ.).

3. ლანზაროტეს კონვენციას შემოაქვს ეს ახალი დანაშაული (« grooming »).

მათი განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე - ძლიერი დაუცველობის განცდა, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს მათი ასაკით, ზოგჯერ ეთნიკური წარმომავლობით, ინვალიდობით ან სოციალური სტატუსით, ისევე როგორც უფროსებზე მათი დამოკიდებულებით - ბავშვები, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და დაცვას. ბავშვთა უსაფრთხოება და ინტერესები მუდმივად უნდა ფიგურირებდეს იმ პოლიტიკურ დებატებსა და გადაწყვეტილებებში, რომლებიც მათ ეხებათ, ისევე როგორც იმ პირთათვის განკუთვნილ ტრენინგებზე, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან ან ბავშვებისათვის. ბავშვებზე განხორციელებული სექსუალური ძალადობა განხილულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებების, ჯანდაცვის, განათლების სისტემის, მართლმსაჯულების ფუნქციონირებისა თუ ტანჯვაში დაკარგული ცხოვრების წლების მრავალმხრივ ასპექტებში. უარყოფითი შედეგები საზოგადოებას შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს მსხვერპლთა და მოძალადეთათვის სამედიცინო და ფსიქიატრიული დახმარების ხარჯების, სადამსჯელო სასასამართლო მექანიზმის, სოციალური დაცვის ორგანოების ფუნქციონირების თვალსაზრისით და ა. შ..

სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა გულისხმობს, თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ, საკანონმდებლო და სტრუქტურული ხარვეზების იდენტიფიკაციასა და საკმარისი რესურსების გამოყოფას რისკის ფაქტორებთან გასამკლავებლად ; სიტუაციის გამოსწორებას, საინფორმაციო და პრევენციული კამპანიების, სწავლებისა და პროფესიული მომზადების სტრატეგიების, მსხვერპლთა ზედამხედველობისა და ზიანის ანაზღაურების გეგმების, ასევე იმ პოლიტიკური ზომების მიღების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობს მზრუნველობისა და ნდობის მყარი კავშირების დამყარებას ბავშვებთან და არაძალადობრივი მიდგომის განვითარებას. ბავშვთა სიცოცხლის, ღირსების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და განვითარების უფლებების

უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა მოახერხონ შეღწევა ერთ-ერთ ყველაზე პირადულ სფეროში.

იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ამ პრობლემატიკასთან მიმართებით მობილიზაციის დონე მაღალია და უკვე შემუშავებული და ამოქმედებულია პოლიტიკური პროგრამები, მოქმედების ყველა შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის მოძებნილი თუ გამოყენებული. აქედან გამომდინარე, საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, საერთაშორისო და ევროპული თანამშრომლობა რჩება ძირითად მექანიზმად. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის, ევროპოლთან და ინტერპოლთან ერთად, აუცილებელია, ხშირ შემთხვევაში, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის. პირებმა, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ ან ძალადობენ ბავშვებზე, განავითარეს ახალი ტექნიკური საშუალებები და ბოროტი განზრახვით, თავიანთი ქმედებების განსახორციელებლად, იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, როგორებიცაა ინტერნეტი და ახალი თაობის მობილური ტელეფონები. განსაკუთრებით თავზარდამცემია იმის დადგენა, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია სულ უფრო მეტად ორგანიზებულ და კომერციალიზებულ სახეს იღებს.

მოცემულ სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო ნორმები

საერთაშორისო თანამეგობრობამ, ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენიმე დოკუმენტი მიიღო:

- ▶ გაერო-ს ბავშვთა უფლებების კონვენცია (1989), რომლის მიღებიდან, 2009 წლის ნოემბერში, 20 წელი აღნიშნა: 34-ე მუხლის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა ბავშვები უნდა დაიცვან « სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ყველა ფორმისაგან », მათ შორის იმ საქმიანობისაგან, რომელიც უბიძგებს ან აიძულებს ბავშვს დაიწყოს აკრძალული სექსუალური ქმედებები, ახდენს

ბავშვთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის ან პორნოგრაფიული ხასიათის მასალების ან წარმოდგენების დადგმის მიზნით.

- ▶ კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვების პორნოგრაფიაში მონაწილეობის შესახებ (2000): ეს მექანიზმი ავსებს კონვენციას, ახდენს რა ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პედოპორნოგრაფიის, მათ შორის, ამგვარი აქტების ჩადენის მცდელობის, მათ ჩადენაში თანამზრახველობისა და მონაწილეობის კრიმინალიზაციას.
- ▶ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის n°182 კონვენცია ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აკრძალვისა და მის აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივი ქმედებების გატარების შესახებ (1999): მე-3 (ბ) მუხლის თანახმად: «ბავშვის გამოყენება, სამუშაოდ აყვანა ან წინადადების შეთავაზება პროსტიტუციის, პორნოგრაფიული მასალების წარმოებისა თუ წარმოდგენების დადგმის მიზნით » წარმოადგენს ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმებს.
- ▶ ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და პედოპორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2004/68/ JAI): იგი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს მოახდინონ იმ დანაშაულთა კრიმინალიზაცია, რომლებიც უკავშირდება სექსუალურ ძალადობას, კერძოდ, პროსტიტუციას, ძალის/მუქარის ან ნდობის/ავტორიტეტის გამოყენებას სექსუალური ურთიერთობის დასამყარებლად. დანაშაულები, რომლებიც უკავშირდება პედოპორნოგრაფიას, ასევე კრიმინალიზებული უნდა იყოს, იმის მიუხედავად, იგულისხმება თუ არა ინფორმაციული სისტემის გამოყენება; ასევე ამგვარი აქტებისკენ მოწოდებას, მათი ჩადენის მცდელობას და თანამზრახველობას მსგავსი ქმედებებისას.
- ▶ ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცედურებში მსხვერპლთა სტატუსის შესახებ (2001/220/JAI): ადგენს დაცვის სპეციალურ ზომებს სისხლის

სამართლის დანაშაულის მსხვერპლთათვის. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ პირთა სპეციფიკურ მომზადებას, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროცედურებში ან მუშაობენ მსხვერპლთან, განსაკუთრებით, მათგან ყველაზე მგრძნობიარეებთან.

- ▶ კომერციული მიზნებით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ სამი მსოფლიო კონგრესის დეკლარაციები, რომლებიც ჩატარდა სტოკჰოლმში 1996 წელს, იოკოჰამაში 2001 წელს და რიო-დე-ჟანეიროში 2008 წელს. სტოკჰოლმის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა შეიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც ითვალისწინებს კომერციული მიზნებით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის კრიმინალიზაციას, მსგავს აქტებზე სისხლისსამართლებრივი სანქციების შემოღებას და მოუწოდებს სახელმწიფოებს შემოიღონ ექსტრატერიტორიული კანონმდებლობა. ისინი ადგენენ ნორმებს ბავშვებისთვის ადაპტირებული სასამართლო პროცედურების დასანერგად და განამტკიცებენ მსხვერპლთა იურიდიული, სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლებას. იოკოჰამას მეორე მსოფლიო კონგრესზე მიღებული საერთაშორისო ვალდებულება განამტკიცებს სტოკჰოლმის პრინციპებს და ადგენს, რომ ყველა ჩართულმა მხარემ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ახალი ტექნოლოგიების უარყოფითი ასპექტების განსახილველად, განსაკუთრებით, ინტერნეტში არსებულ პედოპორნოგრაფიასთან მიმართებით. ბავშვთა და მოზარდთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე ორგანიზებული რიო-დე-ჟანეიროს მე-3 მსოფლიო კონგრესი, თავის დეკლარაციასა და მოქმედებისკენ მოწოდებაში, ოფიციალურად იღებს ვალდებულებას, გარდა კომერციული ფორმებისა, გააგრძელოს და გააფართოვოს ბრძოლა სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმების წინააღმდეგაც.
- ▶ ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და პედოპორნოგრაფიის შესახებ ევროპული პარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2011 წლის ნოემბრის ერთობლივი

დირექტივით გაუქმდა 2004/68/JAI ჩარჩო-გადაწყვეტილება და შემოღებულ იქნა ლანზაროტეს კონვენციის პრინციპები, რომლებსაც ისინი აღიარებენ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის უმაღლეს საერთაშორისო ნორმად; წინადადება შეიცავს დამატებითი ღირებულების მქონე რამდენიმე სხვა ელემენტს: დანაშაულთა ახალი კატეგორიების შემოღება სისხლის სამართალში, სისხლისსამართლებრივი სანქციების ჰარმონიზაციის გაძლიერება, წევრ სახელმწიფოთა დავალდებულება მიიღონ იმ საქმიანობის ამკრძალავი ზომები რომლებიც მოიცავს ბავშვებთან რეგულარულ კონტაქტებს, სისხლის სამართლის იმუნიტეტის შემოღება დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ, წევრ სახელმწიფოთა საზღვრებს მიღმა ჩადენილი ფაქტების განსახილველად საჭირო კომპეტენციის კრიტერიუმების გაძლიერება და მსხვერპლთა და მათი ოჯახების დაცვის გაუმჯობესება.

ევროპის საბჭოს საქმიანობა აღნიშნულ სფეროში

ბავშვის უფლების დაცვა სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის ყველა სახის გამოვლინებისაგან ფიგურირებს ევროპის საბჭოს სხვადასხვა მექანიზმებსა და ტექსტებში და რეგულარულად განიხილება მაღალი დონის დებატებზე.

- ▶ ევროპის საბჭოს ევროპის სოციალური ქარტია (1961): მე-7 მუხლის თანახმად, ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ სპეციალური დაცვის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდებიან ფიზიკური და მორალური საფრთხეების წინაშე. სოციალური ქარტიის გადასინჯული ვერსიის (1996) 17-ე მუხლის, 1(ბ) ქვეპუნქტის მიხედვით, მთავრობებმა უნდა მიიღონ ყველა ადეკვატური და აუცილებელი ზომა ბავშვებისა და ახალგაზრდების დასაცავად უყურადღებობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან.
- ▶ ევროპის საბჭოს კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ (2001) სახელმწიფოებს ავალდებულებს მოახდინონ იმ ქმედებათა

კრიმინალიზაცია, რომლებიც უკავშირდება ბავშვთა პორნოგრაფიას ქსელების ან საინფორმაციო სისტემების გამოყენების შემთხვევაში. ასეთ ქმედებებში იგულისხმება პედოპორნოგრაფიული მასალების წარმოება, შეთავაზება/ მიწოდება, დისტრიბუცია/გავრცელება, შეძენა ან ფლობა.

- ▶ ვეროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2005): მე-4 მუხლში, ადამიანებით ვაჭრობის განმარტების შემდეგ, კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს მის აყვანას სისხლის სამართლის დანაშაულის რანგში და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე. ექსპლუატაციის მიზნით მათი გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაცემა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება განიხილება როგორც ადამიანებით ვაჭრობა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ადგილი არ ჰქონია ისეთ საშუალებებს როგორებიცაა იძულება, ძალა, შეცდენა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება თანხმობის მიღწევის მიზნით.
- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2001)16 სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის შესახებ, ითვალისწინებს სექსუალური მიზნებით ბავშვთა პროსტიტუციის, პედოპორნოგრაფიისა და ბავშვებით ვაჭრობის კრიმინალიზაციას. ამ რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ დაზარალებული ბავშვებისთვის განსაკუთრებული ზომები სასამართლო პროცედურის დროს; მთელი ამ პროცედურის განმავლობაში მათი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ; სასამართლო ხელისუფლებამ პრიორიტეტულად უნდა აქციოს საქმეები ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ და სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ათვლილი უნდა იყოს ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან. გარდა ამისა, რეკომენდაცია ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებას, აგრეთვე ექსტრატერიტორიული კომპეტენციის მქონე სტრუქტურის

შექმნას, რაც არ საჭიროებს ორმაგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენებას.

- ▶ სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა მე-3 სამიტი (ვარშავა, 2005): სამოქმედო გეგმაში, სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა იკისრეს სპეციალური ზომების მიღების ვალდებულება ბავშვებთან მიმართებით ყველა ფორმის ძალადობის აღმოსაფხვრელად სამოქმედო პროგრამის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში, იურიდიული მექანიზმების შემუშავების საფუძველზე. ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება. ამგვარად, ევროპის საბჭომ აამოქმედა პროგრამა სახელწოდებით « ვაშენოთ ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად ⁴» (2006-2011) და მისი სტრატეგია 2009-2011, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების ხელშეწყობასა და ბავშვების დაცვას ძალადობისგან. ამ ინიციატივის ძირითადი მიზანია აღნიშნულ სფეროში კომპეტენტური პირებისა და სპეციალისტების დახმარება, ბავშვთა უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიების შემუშავება და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია.

ეროვნული პარლამენტებისა და საპარლამენტო ასამბლეის როლი ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში

პარლამენტარებს, როგორც პოლიტიკურ და საკანონმდებლო გადაწყვეტილებათა მიმღებებს, ძირითადი როლი აკისრიათ ამ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი მოქმედების მიზანი (მიზნები) შეიძლება იყოს:

- ▶ სხვადასხვა საშუალებებით ლანზაროტეს კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიკაციის ხელშეწყობა, მაგალითად:
 - შესაბამისი საპარლამენტო გამოძიებების ჩატარების ინიცირება ;

4. იხილეთ საიტი www.coe.int/t/transversalprojects/children/Default_fr.asp.

- მთავრობისთვის სპეციფიკური კითხვების დასმა აღნიშნულ სფეროში ;
- სახელმწიფო (პარლამენტში) და ადგილობრივ (თავიანთ საარჩევნო უბნებში) დონეებზე დებატების ორგანიზება ;
- მათი პარლამენტის დოკუმენტაციის ცენტრში ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ფართო საზოგადოების (პრესაში სტატიების გამოქვეყნება, სკოლებში ღონისძიებების ორგანიზება და ა. შ.) წინაშე ყველა ღონისძიების წამოწყება და მხარდაჭერა ;⁵
- ▶ თუკი ასეთი ჯერ კიდევ არ არსებობს, ეროვნული პარლამენტის დონეზე ბავშვთა საკითხების კომისიის შექმნა მოცემულ საკითხებზე მონიტორინგის მიზნით ;
- ▶ საერთაშორისო ვალდებულებებთან, კერძოდ, ლანზაროტეს კონვენციასთან, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა მისი რატიფიცირებისთანავე;
- ▶ ეროვნული კანონმდებლობის გადასინჯვა და გაძლიერება, სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვების საჭიროებების დამატებით გათვალისწინებით სასამართლო პროცესის განმავლობაში და ბავშვის უზენაესი ინტერესის გასათვალისწინება მის მიერ ფაქტების გამხელის მომენტიდან ისეთ დონეზე გამოჯანმრთელებამდე, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს დაუბრუნდეს მეტნაკლებად ნორმალურ ცხოვრებას და დაცული იქნეს შემდგომი ძალადობისაგან ;
- ▶ ბავშვებს სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობის გაძლიერება, მისი ეფექტური შესრულების უზრუნველყოფა და აუცილებლობის შემთხვევაში, სასჯელის უფრო მეტად

5. იხ. აგრეთვე საპარლამენტაშორისო კავშირისა და UNICEF-ის ახალი და მეტად სასარგებლო ნაშრომი: *ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა - გზამკვლევი პარლამენტარებისათვის*, no 13-2007, რომელიც შეიცავს პარლამენტარების მიერ მისაღებ ზომებს.

გამკაცრება; წინააღმდეგ შემთხვევაში, აკრძალვა მხოლოდ ფარატიანა ქალაქად დარჩება;

- ▶ სისხლის სამართლის სარჩელის ხანდაზმულობის ვადის შესწავლა, რათა შესაძლებელი გახდეს მისი გახანგრძლივება დანაშაულის სიმძიმის მიხედვით და ხანდაზმულობის ვადის ათვლის მხოლოდ მავშის სრულწლოვანი ასაკიდან დაიწყება ;
- ▶ კანონმდებლობის გაძლიერება, რათა შესაძლებელი და უფრო მეტიც, სავალდებულო გახდეს ბავშვთა ექსპლუატაციასა და სექსუალური ძალადობის შესახებ სპეციფიკურ საკითხებზე ტრენინგების მოწყობა იმ პირებისთვის, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან ან ბავშვებისთვის; შესაძლებელი გახდეს საინფორმაციო პროგრამების დანერგვა ბავშვებისთვის სკოლაში სწავლის პერიოდის განმავლობაში ;
- ▶ ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც შეძლებისდაგვარად სხვა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობათა ეკვივალენტური იქნება წარმატებული ჰარმონიზაციის მისაღწევად, რაც შესაძლებელს გახდის ბავშვთა დაცვის გაძლიერებასა და ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას ;
- ▶ საკმარისი რესურსების გამოყოფა, უპირველეს ყოვლისა, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის პრევენციისათვის და მათწინააღმდეგ ბრძოლისათვის, შემდეგ კი, დაზარალებულთა კომპენსაციისათვის, იმ ღონისძიებათა მიუხედავად, რომლებიც შესაძლოა ხორციელდებოდეს დანაშაულის ავტორთა რეინტეგრაციისათვის;
- ▶ მონაცემთა ეროვნული ბაზის შექმნა, რაც შესაძლებელს გახდის ფსიქოლოგიურად არამყარი ჯგუფების იდენტიფიცირებასა და მსხვერპლთა რაოდენობის აღწერას ;
- ▶ დამოუკიდებელი უწყების შექმნა, რომელსაც დაევალება ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, ასევე სატელეფონო დახმარებისა და სხვა ტიპის სამსახურების შექმნა რჩევების მიცემის მიზნით ბავშვებისათვის თუ ნებისმიერი პირისათვის, რომლებსაც სურთ მომხდარი ფაქტის გაცხადება.

ევროპის საბჭოს კამპანიის საპარლამენტო მასშტაბების გაფართოებების მიზნით, შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი აქციები :

- ▶ ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა იმ პარლამენტართა ქსელის მეშვეობით, რომლებიც ჩართულნი არიან ბაშევებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ;
- ▶ პარტნორობის დამყარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე (პროფესიული ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროპელ ომბუდსმენთა ქსელი ბავშვებისათვის (ENOC), გაერო, ევროპის კავშირი, საპარლამენტაშორისო კავშირი (UIP) და სხვები) ;
- ▶ ევროპულ ინსტანციებში ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების ლობირება;
- ▶ ეროვნული სტრატეგიების შექმნა, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვთა დაუცველობის შემცირებასა და მათი უსაფრთხოების გაძლიერებას (მაგალითად, პრევენციული კამპანიების მეშვეობით);
- ▶ სახელმწიფოებისათვის, მათი მხრიდან თხოვნის შემთხვევაში, ტექნიკურ-იურიდიული დახმარების შეთავაზება საკანონმდებლო რეფორმების გასატარებლად პრობლემის გადაჭრის მიზნით;
- ▶ ეროვნულ დონეზე საკომუნიკაციო და შემეცნებითი მექანიზმების მომზადება და გავრცელება (წინამდებარე სახელმძღვანელო, USB მეხსიერების ბარათები, რომლებშიც ჩაწერილი იქნება საკანონმდებლო ტექსტები და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა შემეცნებითი ინფორმაცია).

ლანზაროტეს კონვენციის დებულებათა უფრო დეტალურ განხილვამდე, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ახლახან მიღებულ 1934-ე (2010) რეკომენდაციაზე: « ძალადობა დაწესებულებებში განთავსებულ ბავშვებზე: მსხვერპლთა სრული დაცვის უზრუნველყოფა », რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან წინადადებებს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და

პოლიტიკური მოქმედებებისათვის წევრ სახელმწიფოთა და მათი პარლამენტების საყურადღებოდ. როგორც გაერო-ს სხვადასხვა ორგანოები, საპარლამენტო ასამბლეაც მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო რეფორმები ბავშვთა სრულყოფილი დაცვის წინაპირობაა, მაგრამ ისინი უნდა შეივსოს პრევენციული, საიდენტიფიკაციო, საგამომიებო და სამკურნალო ზომებით⁶.

თავის 1834-ე რეზოლუციასა (2011) და 1980-ე რეკომენდაციაში (2011) « ბავშვთა მიმართ « ძალადობის ამსახველი სურათების » წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ » ყოვლისმომცველ და საერთაშორისო დონეებზე ჩართულობის მეშვეობით », საპარლამენტო ასამბლეამ, სხვებს შორის, მხარი დაუჭირა ბავშვთა პორნოგრაფიისა და მასთან დაკავშირებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო მტკიცე მოქმედებებს და ევროპის საბჭოს ლანზაროტეს კონვენციის დამატებითი ოქმის მომზადებისაკენ მოუწოდა.

6. კორინ მაი-შაალი, მარია ჰერცოგი (კოორდინატორები): ბავშვებზე ძალადობა ევროპაში, ევროპის საბჭოს გამომცემლობა (2004).

4. კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია)

ლანზაროტეს კონვენცია მთავარი წინადადებული ნაბიჯია სექსუალური ხასიათის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი უზრუნველყოფს ბავშვთა გაძლიერებულ და სრულყოფილ დაცვას სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ და განიხილავს ამ დანაშაულებში ეჭვმიტანილთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებს. ტექსტი ახდენს ამ სფეროში უკვე არსებული სტანდარტების კონსოლიდირებას და ავსებს ხარვეზებს: ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება განსაზღვრავს და შეძლებისდაგვარად, დეტალურად ადგენს ბავშვთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულთა ნუსხას. მისი ძლიერი მხარეებია: აქცენტი პრევენციაზე, ბავშვთა და დაზარალებულთა დაცვის ზომების ფართო სპექტრი, კონვენციის გავრცელება 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვზე და ასევე ძალადობის ახალი ფორმების შესახებ მექანიზმის ჩართვა, როგორცაა ბავშვთა ექსპლუატაცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ახალი ტექნოლოგიების (TIC) მეშვეობით. და ბოლოს, კონვენციას გააჩნია გაძლიერებული მონიტორინგის მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა მიერ მისი მექანიზმების ეფექტური განხორციელება და დაცვა.

კონვენციის მიზანი

კონვენციის სამი მთავარი მიზანია:

- ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მათთან ბრძოლა;

- ▶ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვა ;
- ▶ ამ მოვლენის წინააღმდეგ ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი

კონვენცია კრძალავს დისკრიმინაციას (განსხვავებული მიდგომა, ობიექტური და გონივრული საფუძვლების გარეშე) ხელშემკვრელი მხარეების მიერ მისი მექანიზმების ამოქმედებისას, რაც განსაკუთრებით ეხება მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის ზომების გამოყენებას. დისკრიმინაციის მოტივების ნუსხა შედგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 14-ე მუხლისა და მე-12 დამატებითი ოქმის საფუძველზე და მათი დებულებების იდენტურია: სქესი, რასა, ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება და ნებისმიერი სხვა მიზეზი. ტექსტი მოიცავს სამ დამატებით მოტივს. ესენია: სექსუალური ორიენტაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ინვალიდობა.

ტერმინთა განმარტებები

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების მრავალფეროვნების მიუხედავად, შემუშავდა საერთო განმარტებები კონვენციის საბოლოო მიზნის მისაღწევად:

- ▶ « ბავშვი »: ტერმინის განმარტება აღებულია გაერო-ს ბავშვთა უფლებების კონვენციიდან და ევროპის საბჭოს კონვენციიდან ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: ბავშვი არის 18 წლამდე ასაკის პიროვნება. უნდა აღინიშნოს, რომ ლანზაროტეს კონვენციაში, ზოგიერთი მუხლი განსხვავებულ ასაკს ასახელებს - სქესობრივი ცხოვრების დაწყების ლეგალურ ასაკს - ისე რომ ფაქტებს არ მიეცეს სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაცია. არსებული კანონმდებლობები

სექსუალური თვალსაზრისით სრულწლოვანების სხვადასხვად ასაკობრივ ზღვარს ადგენს, 13-დან 18 წლამდე. ესპანეთში სექსუალური სრულწლოვანების ასაკი ყველაზე დაბალია (13 წელი), მაშინ როდესაც იგი ყველაზე მაღალია თურქეთსა და მალტაში (18 წელი) ;

- ▶ « ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა »: კონვენცია ცდილობს მოიცვას როგორც ოჯახის შიგნით ან ახლო სოციალურ გარემოში ჩადენილი ისე კომერციული და მოგების მიზნით ჩადენილი ძალადობა. იგი ადგენს შემდეგი ქცევების ერთობლიობას: სექსუალური ძალადობა, ბავშვთა პროსტიტუცია, პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ბავშვთა მონაწილეობა, სექსუალური მიზნებით ბავშვთა გარყვნა და იძულება. მთავარი აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ მცირეწლოვნის, ნებისმიერი სექსუალური ფორმით, ხელყოფა, უნდა გახდეს კონკრეტული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საგანი ;
- ▶ « მსხვერპლი »: მსხვერპლი არის ბავშვი რომლის მიმართ ჩადენილ იქნა კონვენციაში ჩამოთვლილ დანაშაულთაგან ერთ-ერთი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბავშვის მსხვერპლად აღიარებისათვის საჭირო არ არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ფაქტების დადგენა.

ბავშვზე სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით სხვა სახის ტერმინთა განმარტებები განხილული უნდა იყოს ღრმად და ზედმიწევნით, ზუსტად მოცემულ კულტურულ კონტექსტში; აღნიშნული განმარტებანი ასევე უნდა გახდეს ხელშემკვრელ მხარეებს შორის დისკუსიების საგანი კონვენციის მომზადების პროცესში. ეს შეეხება მაგალითად, საზღვრებს ოჯახში « ნორმალურ » და ძალადობრივ ქცევებს შორის, ბავშვებში « ჩვეულებრივ » სექსუალურ ექსპლუატაციასა და სხვა არასრულწლოვანების მიერ ჩადენილ ძალადობას (« peer abuse ») შორის ან თანხმობაზე დაფუძნებულ თუ « დამალვულ » სექსუალურ აქტებს შორის ძალთა უთანასწორობის კონტექსტში

(როგორებიცაა მაგალითად, სქესობრივი ურთიერთობები აღმზრდელთან ან მასწავლებელთან)⁷.

პრევენციული ღონისძიებები

ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის მიზნით, ტექსტი მოიცავს მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფო დონეზე უნდა განხორციელდეს. საქმე ეხება პროფესიონალებისა და საზოგადოების მობილიზებას, ბავშვებთან და ბავშვებისთვის მომუშავე პირთა მომზადებასა და სკოლაში სწავლის პერიოდში, ბავშვებისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების შერჩევა, მომზადება და მობილიზება

მცირეწლოვან ბავშვზე განხორციელებული სექსუალური ძალადობა ხშირად ექცევა დაფარვის და საიდუმლოების ნიშნის ქვეშ და მათი სააშკარაოზე გამოტანა არც თუ ისე ადვილია. ამ ფაქტების გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ გამჭირვალურობისათვის, სიფხიზლისა და რეალური დახმარებისათვის ხელსაყრელ გარემოში. კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს მიმართავს, მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ ყველა ის პიროვნება, რომელიც ბავშვებთან რეგულარულ კონტაქტშია, საკმარისად იყოს ინფორმირებული სახელმწიფო და საერთაშორისო ტექსტებზე ბავშვთა უფლებების შესახებ და ინფორმირებული იყოს სექსუალურ ექსპლუატაციისა და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შედეგებსა და შესაძლო ნიშნებზე, რომლებიც შეიძლება ბავშვში გამოვლინდეს. სექსუალური ძალადობის სიტუაციების გამოვლენისათვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებმა იცოდნენ, რაზე გაამახვილონ ყურადღება.

7. კორინ მაი-შალი, მარია ჰერცოგი (კოორდინატორები): ბავშვებზე ძალადობა ევროპაში, ევროპის საბჭოს გამომცემლობა (2004).

კერძოდ, ამ დებულებით ხსენებულ პირთა კატეგორიებს განეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარების, მართლმსაჯულების, წესრიგის დაცვის, სპორტული, კულტურული და გასართობი საქმიანობების სექტორებში. აგრეთვე, ნებაყოფლობით მომუშავე პირები და ბავშვის მიმღები ოჯახები. რეალურად, ხელშემკვრელ მხარეებს სწორედ შერჩევის პროცესში ევალებათ კანდიდატებზე კონტროლის გაძლიერება იმ სფეროებში აყვანისას, რომლებიც მოიცავს ბავშვებთან რეგულარულ კონტაქტს, რათა შემოწმდეს, რომ ეს პირები ნასამართლეები არ ყოფილან სექსუალური ექსპლუატაციისა თუ სექსუალური ძალადობის გამო.

ბავშვების აღზრდა

ბავშვებისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები მშობლები არიან. მათი უპირველესი მოვალეობაა სიყვარულსა და ნდობაზე დაფუძნებული მყარი კავშირის დამყარება თავიანთ შვილებთან, ასევე, ზოგადი აღზრდა სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით და განსაკუთრებით, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის რისკების შესახებ. ისინი ვალდებული არიან მათ შთააგონონ დამოუკიდებლობა, ასევე წინააღმდეგობის გაწევის ძალა და ბრძოლა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ. ზოგიერთი მშობელი შეიძლება სირთულეებს გადააწყდეს და თავი შეიკავოს ბავშვებთან აღნიშნული საკითხის განხილვისგან. ამიტომაც, საგანგებო ყურადღება კეთდება სასკოლო დაწესებულებებსა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ჩაწერაზე სასწავლო პროგრამის ფარგლებში. კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს სთხოვს, რომ სასკოლო პერიოდის განმავლობაში ბავშვებისთვის უზრუნველყონ, მათი ასაკის შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდება სექსუალური ძალადობის რისკებსა და მათგან თავდაცვის საშუალებებზე, მათ თვალში უფროსების დისკრედიტაციის გარეშე. ამ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს არაოფიციალურ გარემოში განხორციელებული

სტუმრობის ან სატელეფონო დახმარების მეშვეობით, მშობლებთან თანამშრომლობით ან თანამშრომლობის გარეშე. ამ პროცედურამ ასევე შეიძლება მიიღოს ელემენტარული განათლების ფორმა სექსუალობის განვითარების, თვითგამორკვევის, პოტენციური რისკების, თავდაცვის საშუალებებისა და დახმარების მოთხოვნის შესახებ. ინტერნეტი და ახალი თაობის მობილური ტელეფონები იძლევა მონაცემთა (სურათები, ვიდეო) გადაცემის საშუალებას, ამიტომ აუცილებელია რომ, ბავშვები ინფორმირებულნი იყვნენ მათი გამოყენების რისკებსა და უსაფრთხოებაზე.

პრევენციული ჩარევის პროგრამები ან ღონისძიებები

პრევენციულ ზომებს შორის იმ პირთათვის, რომლებსაც ეშინიათ ბავშვთან მიმართებით ძალადობის აქტზე გადასვლა, კონვენცია ასახელებს პროგრამებისა და ჩარევის ღონისძიებების ხელმისაწვდომობას, რომლებიც განკუთვნილია რისკის შესაფასებლად ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ეს შესაძლებლობა აშკარა აუცილებლობაა, ვინაიდან ამის გარეშე ბავშვები საფრთხეში იქნებიან და ვიქტიმიზაციის ციკლი პერმანენტული გახდება. პრევენციის მიზნის საპასუხოდ, ეს საშუალება განკუთვნილია იმ პირთათვის რომლებიც გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ არ იმყოფებიან ან არ იხდიან სასჯელს.

საზოგადოებისათვის გათვალისწინებული ზომები

სტრატეგიებს, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების ყურადღების მიპყრობასა და ინფორმირებას, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება შესაძლებელს ხდის საზოგადოების ყურადღების მიპყრობას პრობლემის გარშემო და სიფხიზლის გაზრდას. თუმცა კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ისეთი მასალის გავრცელების პრევენცია ან აკრძალვა, რომლებიც კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულთა რეკლამირებას ახდენენ.

ბავშვების, კერძო სექტორის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ზოგიერთი ქვეყანა თანამშრომლობს ბავშვთა დაცვის ორგანიზაციებთან ან დადებითად უდგება ბავშვთა პირდაპირი მონაწილეობის პრინციპს. ზოგიერთი სახელმწიფო კი ბავშვებისთვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებას უფრო მეტად უწყობს ხელს, ვიდრე ამ ინფორმაციის შექმნაში ბავშვების მიერ წვლილის პირდაპირ შეტანას. კონვენცია მხარს უჭერს ბავშვების მონაწილეობას, მათი მოწიფულობის (« განვითარების სტადიის ») მიხედვით, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კერძო სექტორის (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ტურიზმისა და მოგზაურობის, საბანკო საფინანსო) მონაწილეობა სექსუალური ძალადობის პრევენციაში ასევე სასარგებლო იქნებოდა.

კიბერდანაშაულის გაჩენამ ახალი მასშტაბები შესძინა სექსუალურ ძალადობას, რის გამოც დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერნეტის, მობილური ტელეფონებისა და საძიებო სისტემების ოპერატორთა გაერთიანებას პრევენციული ზომებისა და პოლიტიკის მოსამზადებლად. კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამსახურების არსებობა ფართოდ უნდა იყოს ცნობილი ინტერნეტის მომხმარებელთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობისათვის და ამ სამსახურებმა უნდა გაავრცელონ ინფორმაცია იმ საფრთხეებზე, რომლებიც ბავშვებს ემუქრება.

ინტერნეტის მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ სწრაფად შეტყობინების საშუალება ინტერნეტში შოკისმომგვრელი სურათების თუ ქცევების ნახვისას.

ჩამონათვალთა ნუსხაში შედის ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრია, კერძოდ იგულისხმება « სექსუალური ტურიზმის » სპეციფიკური ფენომენი, რომელმაც მასიური სახე მიიღო. ეს არის პროსტიტუცია არჩევით, რომელიც წარმოადგენს იმის პრაქტიკულ გამოხატულებას, რასაც სთავაზობს პორნოგრაფია; ორი სამყარო

თანხმდება და ახდენს ადამიანთა მანიპულირებასა და სხეულთა ინდუსტრიალიზაციას. ეფექტური პრევენცია ამ შემთხვევაში იქნებოდა მოგზაურთა ინფორმირება, ბროშურების, აუდიოვიზუალური მოწოდებების გავრცელებით და კომპანიის ვებ-გვერდებზე განთავსებული სპეციალური ინფორმაციის მეშვეობით, სისხლისსამართლებრივი დევნის რისკებზე, რომლებიც ემუქრება უცხოეთში სექსუალური დანაშაულების ჩამდენებს. 1998 წელს, ბავშვთა პროსტიტუციის, ბავშვთა პორნოგრაფიისა და სექსუალური მიზნებით ბავშვებით ვაჭრობის აღმოსაფხვრელად მოქმედი ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელმა (ESPAT), ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მოამზადა ქცევის კოდექსი მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორებში სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დასაცავად.

საბანკო და საფინანსო სექტორების ჩართვა ძალზე მნიშვნელოვანია: საფინანსო ინსტიტუტებს შესაძლებლობა აქვთ სამართლადამცავებთან ერთად შეარყიონ ის ფინანსური მექანიზმები, რომლებსაც ეყრდნობა ფასიანი პედოფილიის საიტები და ხელი შეუწყონ მათ დაშლას.

კონვენცია ასევე მოუწოდებს მედიას, ბავშვებთან დაკავშირებული სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და მობილიზაციისკენ. რა თქმა უნდა, მედიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოების განათლებაში, სექსუალურ ურთიერთობებზე პრობლემის რეალისტურად განხილვით დოკუმენტურ თუ ტელევიზიულ მშობლების როლსა და ჯანმრთელობაზე სექსუალური თვალსაზრისით. ამ ფუნქციის შესრულება უნდა ხდებოდეს ერთი მხრივ, მედიისა და თავისუფალი პრესის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით და მეორე მხრივ, მსხვერპლი ბავშვების პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემით.

აღნიშნულ სფეროში ასევე აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ასოციაციების სექტორი, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ტერმინით «სამოქალაქო საზოგადოება» და რომელთა შრომა აღიარებული და დაფასებული

უნდა იქნეს. სახელმწიფოებს ევალებათ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების მიერ შესრულებული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსებას სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მსგავსი ქმედებების წინააღმდეგ ბავშვთა უფლებების დასაცავად.

პრევენციის საკითხებში სპეციალიზებული ორგანოები და საკოორდინაციო უწყებები

კონვენცია, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, გაითვალისწინონ მულტიდისციპლინური პრევენციული მეთოდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილე უწყებებს შორის ეფექტურ კოორდინაციას. კერძოდ, იგულისხმება :

- ▶ კოორდინაცია განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებს, სოციალურ სამსახურებს, წესრიგის დამცველებსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის ;
- ▶ დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების დაცვას და ბავშვების მიმართ გატარებული სოციალური პოლიტიკის გავლენის შეფასებას ;
- ▶ კონკრეტული პირის ან უწყების დასახელება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით⁸. რამდენიმე სახელმწიფომ შექმნა ამ ტიპის თანამდებობებით უინსტანციები, რომლებიც ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით: ბავშვთა მედიატორი, ბავშვთა დამცველი, ბავშვთა პერსონალური ომბუდსმენი, ბავშვთა უფლებების კომისარი, ბავშვთა უფლებების კომიტეტი და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ამ რეკომენდაციის რეალიზებისათვის აუცილებელი იქნება პასუხისმგებლობების კარგად განსაზღვრა და საკმარის ფინანსური რესურსების გათვალისწინება ;

8. საპარლამენტო ასამბლეამ უკვე გასცა ბავშვთა ევროპელი მედიატორის დანიშვნის რეკომენდაცია (იხ. რეკომენდაცია 1460(2000)).

- ▶ მონაცემთა შეგროვების მექანიზმების დანერგვა, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ფენომენზე დაკვირვება და შეფასება, ასევე ინფორმაციის ნაკლებობის ხარვეზის შემცირება, პირადი ხასიათის მონაცემებთან დაკავშირებული პირობების დაცვით ;
- ▶ სახელისუფლო ორგანოებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საქმეში.

მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებები

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მიზანი მათი პრევენციაა, ასევე მნიშვნელოვანია ამ დანაშაულებისგან დაზარალებული ბავშვებისა და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირების მხარდაჭერისა და ყველა შესაძლო დახმარების უზრუნველყოფა.

შეტყობინება სექსუალურ ექსპლუატაციაზე ან სექსუალურ ძალადობაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, ბავშვთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, მთავარი ადგილი უკავიათ იმ კონტაქტების მეშვეობით, რომლებიც მათ გააჩნიათ ბავშვთან ან მის ოჯახთან. ცხადია, მათი როლი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ოჯახური გაუგებრობების მოგვარებით, რომლებიც პრობლემის სათავეს წარმოადგენს. მათ აგრეთვე ფარდა უნდა ახადონ ჩადენილ ძალადობას და ამის შესახებ შეატყობინონ შესაბამის სამსახურებს. კონვენცია ამ მიმართულებით, მათ მიმართ ვალდებულების ზომის შემოღების გარეშე, შესაძლებლობას აძლევს ექიმებს, ფსიქიატრებს, ფსიქოთერაპევტებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც რეგულარულად ან დროდადრო

ეკონტაქტებიან ბავშვებს, დაარღვიონ პროფესიული საიდუმლოების წესი, რათა ბავშვთა დაცვის შესაბამის სამსახურებს აცნობონ ყველა იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც მათ უქმნის გონივრული ვარაუდის საფუძველს იმის თაობაზე, რომ ბავშვი შეიძლება იყოს სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ყველა სხვა პირს, რომელიც შეიტყობს ბავშვზე განხორციელებული სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის ფაქტებს ან ეჭვი აქვს ამგვარ ფაქტებზე, ასევე მოეთხოვება შეატყობინოს კომპეტენტურ სამსახურებს.

დახმარების სამსახურები და მსხვერპლთა დახმარება

მნიშვნელოვანია ისეთი სამსახურების შექმნა, რომლებიც პირებს შესაძლებლობას მისცემს უსაფრთხოდ განაცხადონ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევების შესახებ, რომლებიც შეიტყვეს ან რომლის მსხვერპლნიც თავად არიან ან უბრალოდ გაესაუბრნენ რომელიმე გარეშე პიროვნებას, რომელიც არ მიეკუთვნება მათ ჩვეულ გარემოს. ბავშვთა სოციალური დაცვის სპეციალისტები და პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირები სულ უფრო მეტად თანხმდებიან იმაზე, რომ ბავშვებისთვის სატელეფონო კონსულტაცია მათი დახმარების ძირითადი ელემენტია. ეს შესაძლებელს ხდის გაირკვეს სიტუაცია და ხდება მათი სწორი გადამისამართება კომპეტენტური სამსახურებისაკენ. ტელეფონი განსაკუთრებულ როლს ასრულებს, ვინაიდან ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ, სურვილისამებრ, ისაუბრონ კონფიდენციალურად და ამასთან ერთად, მოსაუბრესთან პირისპირ კონტაქტის გარეშე. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ დახმარების სამსახურების შექმნას, რომლებიც განკუთვნილი იქნება მოსმენისათვის და რჩევების მისაცემად. ამ სამსახურებში მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს ბავშვებთან მუშაობის უნარი.

მსხვერპლთა რეალური დახმარება ორ ნაწილს უნდა მოიცავდეს: უპირველეს ყოვლისა, დახმარება უნდა გაეწიოს მთელი იმ

კრიტიკული თუ ნაკლებად კრიტიკული მომენტების განმავლობაში, რომლებიც თან სდევს ფაქტების გამჟღავნების შემდგომ კრიზისულ პერიოდს; შემდეგ მოდის სექსუალური ძალადობისგან გამოწვეული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმების მკურნალობა. ცხადია, ამას ემატება მსხვერპლთა დაცვის აუცილებლობა შემდგომი ძალადობისაგან.

თავის მხრივ, კონვენცია ადგენს ხელშემკვრელი მხარეების მიერ მსხვერპლთან მიმართებით გასატარებელ ღონისძიებებს:

- ▶ მსხვერპლთა მოკლედვადიანი და გრძელვადიანი დაზიანება მათი ფიზიკური და ფსიქო-სოციალური გამოჯანმრთელებისათვის. მიყენებული ზიანის სიმძიმიდან გამომდინარე, დაზიანება გაწეულ უნდა იქნეს ბავშვის სრული გამოჯანმრთელებისათვის საჭირო ხანგრძლივობით. დაზიანებაში უნდა შედიოდეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგების მკურნალობა და ხელი უნდა შეეწყოს ბავშვის გრძელვადიან ჯანსაღ განვითარებას. კითხვა დაისმის მაშინ, როდესაც სექსუალური ძალადობის შედეგების გამოვლენა ხდება ზრდასრულ ასაკში. საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ზომები, რომლებიც უკვე ზრდასრულ პირებს, რომლებიც ბავშვობაში იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, შესაძლებლობას მისცემს გაამჟღავნონ ეს ფაქტები და ისარგებლონ შესაბამისი დაზიანებით, თუკი ამის საჭიროება კვლავ არსებობს ;
- ▶ სავარაუდო დამნაშავეის ჩამოშორება ან მსხვერპლის განრიდება ოჯახური წრიდან, როდესაც მშობლები ან პირები, რომლებსაც მინდობილი ჰყავდათ ბავშვი, გარეულნი არიან მის მიმართ ჩადენილ ფაქტებში. მნიშვნელოვანია იმ ღონისძიების არჩევა, რომელიც ითვალისწინებს კონტაქტის დაუყოვნებლივ გაწყვეტას. ოჯახის შიგნით ჩადენილი სექსუალური ძალადობის შემთხვევაში; ხშირად კი ბავშვის განრიდება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე დამნაშავეის ჩამოშორება, თუმცა ეს ასევე გულისხმობს ოჯახის დანარჩენი წევრების მიერ ბავშვის მოვლასა და დაზიანებას;

- ▶ მსხვერპლის ახლობლებისათვის, საჭიროების შემთხვევაში და იძულების გარეშე, თერაპიული დახმარების აღმოჩენა. ახლობლებისთვის ასევე სასარგებლო იქნებოდა მკურნალობა მწუხარების, უძლურებისა და დანაშაულის შეგრძნებისაგან გასათავისუფლებლად;
- ▶ პარტნიორობის დამყარება სახელმწიფო ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა ინსტიტუტებს შორის, რომლებიც მუშაობენ მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენაზე.

ჩარევის ღონისძიებები

ოპერატიული ჩარევის პროგრამები თუ ღონისძიებები სექსუალური დანაშაულების ჩამდენთათვის

მრავალი თერაპევტის მოსაზრებით, სექსუალური ძალადობა გამეფებულია იმ საზოგადოებასა და ოჯახში, რომლებშიც ძალადობის ჩამდენი პირები თავად იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი. მათი ტრაგედია კი მდგომარეობს იმ ტანჯვაში, რომლებიც დაიწყო ბავშვობაში გადატანილი მოვლენების შემდეგ და რომლის თაობაზეც მათ, სავარაუდოდ, არაფერი უთქვამთ და მათთვის არც არასოდეს არავის მოუხმენია. ტრავმული გამოცდილებები ილექება ქვეცნობიერში და მათი ევაკუირება მსგავსივე ქმედებებით ხდება. თერაპევტთა მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ძალადობის აქტის ჩადენის თაობიდან თაობაზე გადასვლის ციკლი არ არის აბსოლუტური ხასიათის; ყველა მსვერპლი ბავშვი არ ხდება მსგავსი აქტის ჩამდენი და არც აქტის ჩამდენი ზრდასრული პირების გარკვეული რაოდენობა არ ყოფილა ძალადობის მსხვერპლი.

რა თქმა უნდა, თავად ამ აქტების შეწყნარება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება, ამ ქმედებების ავტორები ასევე, უნდა განიხილებოდნენ, როგორც პირები რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება ან პაციენტები რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა. მნიშვნელოვანია რომ, იმდენად, რამდენადაც სექსუალური

ძალადობის მიმართ საზოგადოების მობილიზება იზრდება და ამჟამად, შეიმჩნევა სასჯელის გამკაცრების ტენდენცია სექსუალური დამნაშავეებისათვის, უნდა მოხდეს სამკურნალო პროგრამების შეთავაზება, მათზე სათანადო სახლმწიფო რესურსები უნდა გამოიყოს, რომელიც ზოგჯერ შეზღუდულია და უნდა განისაზღვროს პოლიტიკური პრიორიტეტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება მსხვერპლთა და მომავალ მსხვერპლთა რეალური დაცვა.

წინამდებარე კონვენციის ერთ-ერთი დამატებითი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ქმნის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას სამი კატეგორიის პირთათვის. მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ ფსიქო-სამედიცინო-სოციალური ხასიათის ოპერატიული ჩარევის პროგრამებითა თუ ღონისძიებებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი განმეორების შესაძლო რისკები და მოხდეს საფრთხის შეფასება. ბენეფიციართა სამ კატეგორიაში შედიან :

- ▶ პირები, რომლებიც მიცემულნი არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენის გამო: უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპიდან გამომდინარე, ხსენებული კატეგორიის პირებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა ამ პროგრამებითა თუ ღონისძიებებით სარგებლობა. მათ ამის გაკეთება შეუძლიათ საქმის გამოძიების ან პროცესის დროს, დაცვის უფლებებისა და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნების პატივისცემის პირობებში;
- ▶ პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენის გამო: აქ საუბარია პირებზე, რომლებიც საბოლოოდ ცნობილი იქნენ დამნაშავეებად სასამართლოს მიერ ;
- ▶ სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენი ბავშვები: 18 წლამდე ასაკის პირები, რომელთაც, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, ლეგალური ასაკისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. მათ შეუძლიათ ისარგებლონ ადაპტირებული

პროგრამებითა და ღონისძიებებით, რომლებიც საჭიროა მათი განვითარებისა და სექსუალური ქცევის პრობლემების მკურნალობისათვის.

ამ პროგრამებისა და ღონისძიებების ინტეგრირება შესაძლებელია მოხდეს ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სისტემებში და არ არის აუცილებელი, რომ ისინი შეადგენდნენ სისხლის სამართლის სანქციების სისტემის ნაწილს. ფსიქოლოგიური ხასიათის ჩარევამ შეიძლება მიიღოს კოგნიტიურ-ქცევითი თერაპიის ან ფსიქო-დინამიური მდგომის ფორმა⁹. სამედიცინო ხასიათის ჩარევა უმთავრესად გულისხმობს ჰორმონალურ მკურნალობას (ქიმიურ კასტრაციას). და ბოლოს, სოციალური ხასიათის ჩარევა გულისხმობს როგორც სექსუალურ დანაშაულთა ჩამდენის სოციალური ქცევის დარეგულირებისა და გაწონასწორებისაკენ მიმართული შესაბამისი მექანიზმების დანერგვას (მაგალითად, ზოგიერთი ადგილის თუ პირის მონახულების აკრძალვას), ისე სრულყოფილ მუშაობას ამ პირთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს მათ რეინტეგრაციას (მაგალითად, ადმინისტრაციული საკითხებზე დახმარების გაწევა, სამსახურის მოძებნა).

ინფორმირება და თანხმობა

ნებისმიერი ოპერატიული ჩარევის განხორციელებამდე, პიროვნებას ეცნობება, თუ რა მიზეზების საფუძველზეც ხდება

9. ფსიქოლოგიაში ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: 1. კოგნიტიური მიდგომა, რომელიც ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სიტუაციის შეფასება ის ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ემოციებსა და ქცევებს, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენს კოგნიტივზე. სიტუაციის შეფასება ეყრდნობა მტკიცე რწმენას საკუთარ თავსა და სამყაროზე. ფსიქოთერაპევტული სამუშაოს მიზანია ადაპტირებული ქცევების განვითარება ფსიქოლოგიური მდგომარეობის უკეთ გასაკონტროლებლად და აშლილობების სამკურნალოდ; 2. დინამიურ-ანალიტიკური მიდგომა ფართოდ ეყრდნობა არაცნობიერის კონცეფციას: არსებული სირთულეების საფუძველი ბავშვობაში გადაუჭრელი კონფლიქტებია. კლასიკური ანალიტიკური მეთოდი მდგომარეობს მეტყველებისა და ქმედებების ინტერპრეტირებით გადაუჭრელი კონფლიქტების გამოვლენაში.

მისთვის რომელიმე პროგრამით ან ღონისძიებით სარგებლობის შეთავაზება. შემდგომ, შეთავაზებულ წინადადებებზე მისი თანხმობა აუცილებლად უნდა იყოს თავისუფალი და გაცნობიერებული. მართლაც, ოპერატიული ჩარევის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბენეფიციარის რეალურ ჩართულობაზე. წინადადებები შეიძლება მიღებული იყოს ან უარი ითქვას მათ მიღებაზე. უარის თქმის შემთხვევაში, პირი ინფორმირებული უნდა იყოს მოსალოდნელ შედეგებზე (მაგალითად, სისხლის სამართლის სანქციის შეჩერებაზე ან შემსუბუქებაზე უარის თქმა).

კონვენცია, რომელიც ხშირად ეყრდნობა ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ სამართალს, კმაყოფილდება რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპის დადგენით, ისე რომ არ ეხება გასატარებელი ღონისძიებებისა თუ პროგრამების დეტალებს. იგი მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარეებს, რეგულარულად მოახდინონ დანერგილი პროგრამებისა და ღონისძიებების ეფექტურობისა და შედეგების შეფასება. ამასთან, შედეგები დამოკიდებულია, როგორც თერაპევტთა მომზადებასა და კოტროლზე, ისე ხელსაყრელ ინსტიტუციურ გარემოზე. ტექსტი ხაზს უსვამს სხვადასხვა კომპეტენტურ სამსახურებს შორის კოორდინაციის აუცილებლობის გათვალისწინებას, კერძოდ, სოციალურ სამსახურებს, პენიტენციურ უწყებებსა და, დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვის პირობით, სასამართლო ხელისუფლებას შორის.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილ ქმედებებზე

მატერიალური სისხლის სამართალი

სახელმწიფოების მიერ კონვენციის რატიფიკაცია წარმოქმნის მისი გამოყენებისა და მაშასადამე, ეროვნული სისხლის სამართლის კანონთა ჰარმონიზაციის ვალდებულებას. ეს ამარტივებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და

სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო. პირველ რიგში, კონვენცია სისხლის სამართლის დანაშაულის სახეს აძლევს ქმედებათა გარკვეულ კატეგორიას; ტერმინების განმარტებებისა და კანონმდებლობების ჰარმონიზაცია შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული, რომ პირები აკრძალული ქმედებების ჩასადენად ჩავიდნენ ისეთ ხელშემკვრელ ქვეყანაში, რომლის იურიდიული ჩარჩოც ნაკლებად მკაცრია. ასევე, მსგავსი განსაზღვრებები აადვილებს კვლევებსა და მონაცემთა შედარებას, რაც შესაძლებელს ხდის ბავშვების მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულთა საერთო სურათის მიღებას. და ბოლოს, საერთაშორისო თანამშრომლობა მარტივდება, ვინაიდან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა (პრევენცია, დაცვა, პროცედურები) ეყრდნობა ერთმანეთის მსგავს კანონმდებლობებს. ეროვნული კანონმდებლობებისა და სასამართლო პრაქტიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კონვენცია არ შეიცავს დებულებას სავარაუდო მოძალადის მიერ მსხვერპლის ასაკის ცოდნასა თუ არცოდნაზე. გარდა ამისა, ტექსტი ითვალისწინებს ზოგიერთ გარემოებებში, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირები არასრულწლოვნები არიან (მაგალითად, საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელება), უფრო ადეკვატური ზომების გამოყენების შესაძლებლობას, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის ნაცვლად, რომლის გამოყენებაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს.

სექსუალური ძალადობა

ბავშვზე სექსუალური ძალადობის დანაშაულის განსაზღვრება პირველად ფიგურირებს საერთაშორისო ხელშეკრულებაში, როგორც განზრახ ჩადენილი აქტი, რომელიც მოიცავს :

- სქესობრივი კონტაქტის დამყარებას ბავშვთან, რომელსაც არ მიუღწევია სქესობრივი კონტაქტის დამყარების ლეგალური ასაკისათვის;

- სქესობრივი კონტაქტის დამყარებას ბავშვთან, რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი ;
 - იძულების, ძალის გამოყენების ან მუქარის გზით ; ან
 - ბავშვზე ნდობის, ძალაუფლების ან გავლენის ბოროტად გამოყენებით, მათ შორის საკუთარ ოჯახში ; ან
 - ბავშვის განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, კერძოდ მისი ფიზიკური ან ფსიქიკური ინვალიდობის ან დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნის გამო.

თუ ძალადობის პირველი ტიპი ეხება ბავშვებს, რომლებსაც სქესობრივი კონტაქტის დამყარების ლეგალური ასაკისათვის არ მიუღწევიათ და თავისთავად კვალიფიცირებულია როგორც აკრძალული, ძალადობის მეორე ტიპი ეხება ბავშვებს, რომლებმაც მიღწიეს ამ ასაკს, მაგრამ ჯერ ისევ მცირეწლოვანები არიან (18 წელზე ნაკლები ასაკის); აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას კითხვა ბავშვის მიერ სქესობრივი კონტაქტის დამყარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ. ცხადია, რომ დამატების, ძალის გამოყენების ან მუქარის შემთხვევაში, ივარაუდება რომ ბავშვის თანხმობა არ არსებობს. ბავშვის განსაკუთრებული უმწეობის ბოროტად გამოყენების ჰიპოთეზაში, მისი ფიზიკური, სენსორული, ინტელექტუალური ან ფსიქიკური ნაკლოვანებების ან « დამოკიდებულ მდგომარეობაში » ყოფნის გამო, ყოველგვარი თანხმობა სქესობრივი კონტაქტის დამყარებაზე ნამდვილობას კარგავს. « დამოკიდებული მდგომარეობა » ნიშნავს ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც ბავშვი ფიზიკურად, ფსიქიკურად, ემოციური, ოჯახური, სოციალური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება, მათ შორის განიხილება დამოკიდებულება ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე ან მათი გავლენის ქვეშ ყოფნა დანაშაულის ჩადენისას. მესამე ჰიპოთეზა ეხება ბავშვის ნდობის ბოროტად გამოყენებას ან ბუნებრივი, სოციალური თუ რელიგიური ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობას, რაც მოძალადეს შესაძლებლობას აძლევს გააკონტროლოს, დასაჯოს ან წაახალისოს ბავშვი მასთან სქესობრივი

კონტაქტის დამყარების მიზნით. ნდობაზე დაფუძნებული ამგვარი ურთიერთობები არსებობს ბავშვის ბუნებრივ თუ მიმღებ ოჯახში, პირებთან რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის აღზრდა-განათლებას, პირებთან, რომლებიც ანხორციელებენ თერაპიულ თუ სამედიცინო მკურნალობას ან პირებთან, რომლებიც მოხალისეებად მუშაობენ ბავშვებთან.

კონვენცია არ განსაზღვრავს « სექსუალური საქმიანობის » ცნებას და არ ადგენს ლეგალურ ასაკს სქესობრივი ურთიერთობების დასამყარებლად. იგი აღნიშნულის განსაზღვრის პრეროგატივას თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს უტოვებს, კანონმდებლობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. იგი არ ითვალისწინებს მოზარდთა თანხმობაზე დამყარებული სქესობრივი ურთიერთობების კრიმინალიზაციას, როდესაც ისინი საკუთარი სექსუალობის შეცნობის პროცესში არიან, თუნდაც რომელიმე მათგანს, ან უფრო მეტიც, ორივეს, მიღწეული არ ჰქონდეთ სქესობრივი ურთიერთობების დამყარების ლეგალური ასაკისთვის. კონვენციის მიზანს არ წარმოადგენს არასრულწლოვნებს შორის შეთანხმებული სქესობრივი ურთიერთობების მართვა მათი სექსუალური განვითარების კონტექსტში.

დანაშაულები, რომლებიც ბავშვთა პროსტიტუციას განეკუთვნება

ბავშვთა პროსტიტუცია, კონვენციის საფუძველზე, გაგებული უნდა იქნეს, როგორც ბავშვების გამოყენება სექსუალური ხასიათის მოქმედებების მიზნით, თავად მცირეწლოვნის ან მესამე პირისთვის ფინანსური ან სხვა სახის სარგებელის მიღების სანაცვლოდ. ქვემოთ მოყვანილი განზრახი ქმედებანი აყვანილი უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაულთა რანგში:

- ▶ ბავშვის ჩათრევა ან პროსტიტუციაში მისი მონაწილეობისათვის ხელშეწყობა :
- ▶ ბავშვის იძულება, დაადგეს პროსტიტუციის გზას, აქედან სარგებლის მიღება ან სხვა ფორმით მისი ექსპლუატირება მსგავსი მიზნებისათვის;
- ▶ ბავშვთა პროსტიტუციული მომსახურებით სარგებლობა.

სისხლის სამართლის დანაშაულის პირობები დამდგარია მაშინაც კი, როდესაც პროსტიტუციაში ბავშვის გამოყენება იშვიათ ხასიათს ატარებს და მხოლოდ ანაზღაურების მიცემის პირობაა დადებული. სისხლის სამართლის სანქციები ერთდროულად გასატარებელია ბავშვების გადამბირებლებისა და იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამით სარგებლობენ.

დანაშაულები რომლებიც ბავშვთა პორნოგრაფიას განეკუთვნება

კონვენცია, რომელიც ასევე ეფუძნება ვეროპის საბჭოს კონვენციას კიბერდანაშაულთან ბრძოლის შესახებ, ითვალისწინებს ყველა ბავშვის (მაშასადამე ყველა მცირეწლოვანი პირის) დაცვის გაძლიერებას იმ ინფორმატიკული სისტემებისა თუ საკომუნიკაციო საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას, რომლებიც, სავარაუდოდ, ხელს უწყობს მათ მიმართ სექსუალურ ძალადობასა და ექსპლუატაციას.

გაერო-ს ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებით ოქმზე დაყრდნობით, კონვენცია « ბავშვთა პორნოგრაფიას » განმარტავს, როგორც ბავშვის ნებისმიერ ვიზუალურ წარმოჩენას, რომლის ქცევაც სექსუალური თვალსაზრისითაშკარა, რეალური ან მოდელირებულია ან ბავშვის სასქესო ორგანოების ყოველგვარ წარმოჩენას, უმთავრესად სექსუალური მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, სურათები რომლებიც შედის ხელოვნების, სამედიცინო, სამეცნიერო ინტერესის სფეროში და არანაირად არ გააჩნია სექსუალური მიზნები, არ ექცევა აღნიშნული განმარტების ქვეშ.

კონვენცია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადგენს შემდეგი განზრახ ჩადენილი ქმედებებისათვის :

- ▶ ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, შეთავაზება, განკარგულებაში გადაცემა, გავრცელება, ჩვენება და ფლობა ;
- ▶ ბავშვთა პორნოგრაფიის საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის მოძიება ;
- ▶ გაცნობიერებულად, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, ბავშვთა პორნოგრაფიაზე ხელმისაწვდომობა.

აღნიშნულ ქმედებებს განეკუთვნება, მაგალითად, სურათების ან ფილმების ინტერნეტში განთავსება, მათი გავრცელება, ფლობა, გადმოტვირთვა თუ ყიდვა, რა საშუალებაც არ უნდა იყოს ეს (ჟურნალები, ვიდეო კასეტები, DVD-ები, მობილური ტელეფონები, USB მეხსიერების ბარათები, CD-ები). ინოვაციურობის თვალსაზრისით, კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს დააყენონ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც საკუთარი განზრახვით ნახულობენ ბავშვთა პორნოგრაფიის საიტებს, მათი გადმოტვირთვისა და ჩაწერის გარეშე. განზრახ ქმედებად შეიძლება შეფასდეს მოქმედება, რომელიც მდგომარეობს ამ საიტების განმეორებით დათვალიერებასა და ამ მიზნით თანხის გადახდაში.

კონვენცია ითვალისწინებს გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას ორ შემთხვევაში:

- ▶ ბავშვის, რომელიც რეალურად არ არსებობს, რეალისტური თუ სიმულირებული სურათების წარმოებისა თუ ფლობის შემთხვევაში ;
- ▶ იმ ბავშვთა სურათების წარმოებისა თუ ფლობის შემთხვევაში, რომლებმაც სქესობრივი კონტაქტის დამყარების ლეგალურ ასაკს მიაღწიეს, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს სურათები წარმოებულია მათ მიერ და მათივე მფლობელობაშია, მათი თანხმობით და მხოლოდ პირადი გამოყენების მიზნით.

თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს შეუძლია დაიტოვოს უფლება, არ გამოიყენოს სრულად ან ნაწილობრივ ის პუნქტი, რომელიც ბავშვთა პორნოგრაფიაზე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხელმისაწვდომობის ფაქტზე აყენებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს.

დანაშაულები, რომლებიც განეკუთვნება ბავშვის მონაწილეობას პორნოგრაფიული ხასიათის წარმოდგენებში

კონვენციას სიხლის სამართლის დანაშაულის რანგში აჰყავს ქმედებანი, რომლებიც უკავშირდება პორნოგრაფიული

წარმოდგენების ორგანიზებას, რაც პირდაპირ გულისხმობს ბავშვების მონაწილეობას სექსუალური ხასიათის მოქმედებებში. ესენია:

- ▶ პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ბავშვის ჩართვა ან მისი მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ▶ ბავშვის იძულება, მონაწილეობა მიიღოს ამგვარ წარმოდგენებში სარგებელის მისაღებად ან ამ მიზნებით მისი ექსპლუატირება;
- ▶ ამ სახის წარმოდგენებზე შეგნებულად დასწრება.

ბავშვთა გარყვნა

ბავშვის გარყვნა, განისაზღვრება როგორც ბავშვის, რომელსაც ჯერ არ შესრულებია ლეგალური ასაკი სქესობრივი კონტაქტის დამყარებისათვის, განზრახ დასწრების ფაქტი სქესობრივი აქტის დასამყარებლად სხვა ბავშვებთან ან უფროსებთან. არ არის აუცილებელი, რომ ბავშვი რაიმე ფორმით მონაწილეობდეს სექსუალურ მოქმედებებში. პირისთვის, თავად ამგვარი აქტის დამყარებისას, ბავშვის თანდასწრების ფაქტიც საკმარისია დაკვალიფიცირდეს, როგორც ბავშვის გარყვნა. ბავშვის გარყვნა რისკის ქვეშ აყენებს მის ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას და აყალბებს მის ხედვას სექსუალურობისა და სხვებთან ურთიერთობების შესახებ. გამოთქმამ « დაიხმაროს » შეიძლება მოიცავს ყველა ფორმა იმის მისაღწევად რომ ბავშვი დაესწროს ამგვარ აქტებს ; ეს შეიძლება იყოს ძალის, ზეწოლის, დარწმუნების თუ დაპირების გამოყენება.

ბავშვთა წაქეზება სექსუალური მიზნების დასაკმაყოფილებლად

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით ბავშვებთან დაკავშირების ფაქტი, სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით მათთვის შეხვედრის შესათავაზებლად («grooming») ლანზაროტეს კონვენციის დიდ სიახლეს წარმოადგენს, ვინაიდან დღეისათვის, არც ერთი სხვა საერთაშორისო მექანიზმი არ ახსენებს ამ ფენომენს. მიუხედავად იმისა რომ იგი სულ უფრო ვითარდება ინტერნეტზე, სადაც უფროსები ბავშვებს ნდობით

განაწყობენ, რათა შეხვდნენ, სექსუალურად იძალადონ მათზე ან შექმნან ბავშვთა პორნოგრაფია.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური ხასიათის სიტყვებით ბავშვთან ურთიერთობა არ წარმოადგენს საკმარის მოტივს ამ სპეციფიკური ქცევის მქონე პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომისათვის « grooming »-ის საფუძველზე (ბავშვთა წაქეზება სექსუალური მიზნებით). სპეციფიკური ქცევის ავტორის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომისათვის საჭიროა, რომ ბავშვთან დამყარებული კონტაქტი გაგრძელდეს მასთან შეხვედრის წინადადებით, ძალადობის ან პორნოგრაფიის შექმნის მიზნით და ბავშვს მიღწეული არ უნდა ჰქონდეს სქესობრივი კონტაქტის დამყარებისათვის ლეგალური ასაკისთვის. დანაშაულის კვალიფიცირება როგორც « წაქეზება » სრული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ შეხვედრის წინადადებას «მოჰყვა მატერიალური აქტები, რომლის შედეგად შედგა ე.წ. შეხვედრა », თუნდაც რეალურად ფიზიკურ ძალადობას ადგილი არ ჰქონდეს. ამაში იგულისხმება კონკრეტული აქტები, როგორებიცაა ქმედების ავტორის შეხვედრის ადგილზე წასვლის ფაქტი. გარდა ამისა, დანაშაულის ყველა ელემენტი განზრახვითი ხასიათის უნდა იყოს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ლანჯაროტეს კონვენცია « მარტივად » უყურებს სექსუალური დატვირთვის მქონე სიტყვების გამოყენებას ბავშვებთან მიმართებით და მას მისაღებ ქცევად აღიქვამს. ამ ტიპის ქცევას განიხილავს კონვენციის სხვა დებულებები (როგორებიცაა დებულებები სექსუალურ ძალადობაზე, ბავშვთა პორნოგრაფიასა თუ ბავშვთა გარყვნის შესახებ), და მაშასადამე, ის პირები რომლებიც ამას სჩადიან, დადგებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის წინაშე და დაისჯებიან სისხლის სამართლის თუ სხვა სანქციებით, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.

თანამზრახველობა და მცდელობა

კონვენციის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისგება დგება იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს :

- განზრახ თანამზრახველობას: როდესაც პირს, რომელიც სჩადის კონვენციით დადგენილ ერთერთ დანაშაულს,

ეხმარება სხვა პირი, რომლის განზრახვასაც ასევე დანაშაულის ჩადენა შეადგენს ;

- განზრახ მცდელობას, ჩადენილ იქნეს კონვენციაში აღწერილი ერთ-ერთი დანაშაული.

მეორე ჰიპოთეზაში, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს თავის შეკავებას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დადგეს შემდეგი დანაშაულის მცდელობისათვის: ბავშვთა პრონოგრაფიის შეთავაზება ან განკარგულებაში გადაცემა, მოპოვება თავისთვის ან სხვისთვის ან მისი ფლობა, აგრეთვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ბავშვთა პრონოგრაფიის შეგნებულად მოპოვება, ბავშვების მონაწილეობით პრონოგრაფიულ წარმოდგენებზე შეგნებულად დასწრება, სექსუალური მიზნებით ბავშვების მოსყიდვა თუ წაქეზება. კონვენციაში ეს გამონაკლისი შეტანილ იქნა იურიდიული სისტემების მრავალფეროვნების მხედველობაში მიღებით, რომლებიც ზღუდავს სექსუალური ხასიათის ზოგიერთი დანაშაულის ჩადენის მცდელობის დასაჯას.

კომპეტენციის კრიტერიუმები სამართალწარმოების დასაწყებად და დანაშაულთა დასასჯელად

კონვენცია ადგენს კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზე ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ თავიანთი კომპეტენცია და დასაჯონ სისხლის სამართლის სექსუალური ხასიათის დანაშაული. ესენია:

- ტერიტორიულობის პრინციპი: თითოეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია დასაჯოს მის ტერიტორიაზე, ასევე მისი დროშით მცურავ გემებსა ან მის ტერიტორიაზე ამ დარეგისტრირებულ თვითმფრინავებში ჩადენილი დანაშაულები;
- მოქალაქეობის პრინციპი: თითოეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია დასაჯოს მისი მოქალაქეების მიერ უცხოეთში ჩადენილი დანაშაულები. კომპეტენციის ეს წესი

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს « სექსუალური ტურიზმის » წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ;

- ▶ დამნაშავის ან მსხვერპლის სახელმწიფოსადმი მიკუთვნების პრინციპი, სადაც ხსენებულ პირს გააჩნია საცხოვრებელი: თითოეულმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა დაადგინოს თავისი კომპეტენცია, რათა გაეცნოს უცხოეთში იმ პირთა მიერ ჩადენილ ან განცდილ ფაქტებს, რომლებსაც საცხოვრებელი მათ ტერიტორიაზე გააჩნიათ. თუმცა ეს წესი ფაკულტატურია და შესაძლოა დათქმის საგანი გახდეს;
- ▶ ორმაგი კრიმინალიზაციის წესის გაუქმება: რაც შეეხება უცხოეთში ჩადენილ დანაშაულებს, კონვენცია ითვალისწინებს დასჯას მაშინაც კი, თუ ეს ფაქტები მათი ჩადენის ადგილზე დასჯადი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ეს პირობა კონვენციას დამატებით ღირებულებას სძენს, იგი მკაცრად შეზღუდულია და ეხება მხოლოდ « სექსუალურ ტურიზმთან » დაკავშირებულ დანაშაულებსა და უცხოეთში მომუშავე პირთა შეზღუდული პერიოდით ყოფნის შემთხვევებს (ჰუმანიტარული თუ სამხედრო თანამდებობები ან სხვა დროებითი მისიები);
- ▶ მსხვერპლის საჩივრის მოთხოვნის ან იმ სახელმწიფოს მხრიდან განცხადების გაკეთების გაუქმება, სადაც ჩადენილ იქნა შემდეგი მძიმე დანაშაულები: სექსუალური ძალადობა, ბავშვთა პროსტიტუცია და ბავშვის მონაწილეობა პორნოგრაფიულ წარმოდგენებში.

ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ისე მოხდეს, რომ რამდენიმე ხელშემკვრელ მხარეს გააჩნდეს კომპეტენცია ზოგიერთ ან ყველა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ზემოხსენებული დანაშაულის ჩადენაში. პარალელური სასამართლო პროცედურების თავიდან ასაცილებლად, ხსენებულმა ხელშემკვრელმა მხარეებმა « საჭიროების შემთხვევაში » ერთმანეთთან კონსულტაცია უნდა გამართონ, რათა გადაწყდეს თუ რომელი იურისდიქცია განახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა

კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, შიდა სამართალში დაამკვიდრონ იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი ბავშვების მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულებისათვის, რომლებიც მათი სახელით ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნით სარგებლობს ან რომელიმე მომსახურე პირის მიერ, რომელმაც მოახერხა ხელმძღვანელობის კონტროლიდან გასვლა, თუ ამ კონტროლის არარსებობის ფაქტი ამარტივებს დანაშაულის ჩადენას. პირმა, რომელიც ხელმძღვანელ თანამდებობაზეა, უნდა იმოქმედოს თავისი ერთ-ერთი უფლებამოსილების ფარგლებში (წარმომადგენლობითი უფლება, გადაწყვეტილების მიღების უფლება, კონტროლის განხორციელების უფლება). ამ სფეროში სახელმწიფოთა სამართლებრივი ტრადიციების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საგანგებოდ აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაყენება ყოველთვის სავალდებულო არ არის. ეს ასევე შეიძლება იყოს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა შეიძლება ერთდროულად დადგეს სხვადასხვა დონეზე. ამ კუთხით, ძირითადი დოკუმენტი ისევ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1934-ე რეკომენდაციაა (2010) სათაურით « ძალადობა დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვებზე : მსხვერპლთა სრული დაცვის უზრუნველყოფა », რომელიც მოიცავს უამრავ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და პოლიტიკური მოქმედებების შემცველ წინადადებას წევრ სახელმწიფოთა საყურადღებოდ.

სანქციები და დამამძიმებელი გარემოებები

კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს « ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ხასიათის » სისხლის სამართლის

სანქციების გათვალისწინებას. ფიზიკურ პირთათვის, საქმე ეხება თავისფლების აღმკვეთ ღონისძიებას ან ექსტრადირებას; იურიდიული პირებისთვის ეს იქნება ფულადი სანქციები. პასუხისმგებელ პირებს შეიძლება ჩამოერთვათ დოკუმენტები, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება და კაპიტალი და გამოყენებულ იქნეს ისეთი სანქციები, როგორებიცაა იმ დაწესებულებების დახურვა, რომლებიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩასადენად ან ისეთი საქმიანობის აკრძალვა, რომელიც გულისხმობს ბავშვებთან კონტაქტს, ასევე სასამართლო ზედამხედველობის დაწესება.

კონვენცია ითვალისწინებს სასჯელის გამკაცრებას, როდესაც დგინდება ზოგიერთი ისეთი გარემოებანი, როგორებიცაა მსხვერპლის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელყოფა, წამებისა ან ძალადობრივი აქტების გამოყენება, მსხვერპლის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება, დანაშაულის ჩადენა, როდესაც მოძალადე და მსხვერპლი ნათესავურ კავშირში იმყოფებიან ან უახლოესი გარემოცვას მიეკუთვნებიან, მოძალადეთა სიმრავლე, დანაშაული ჩადენა კრიმინალური ორგანიზაციის ფარგლებში, რეციდივი.

ნასამართლეობა

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და მათზე სექსუალური ძალადობა ზოგჯერ ტრანსნაციონალურ დონეზე ხდება, კრიმინალური ორგანიზაციების ან პირების მიერ, რომლებიც გასამართლებულნი და მსჯავრდებულნი იყვნენ ბევრ ქვეყანაში. შიდა დონეზე, მრავალი იურიდიული სისტემა ითვალისწინებს განსხვავებულ და უფრო მკაცრ სასჯელს, როდესაც პირი უკვე იყო ნასამართლევი. კონვენცია ამ შესაძლებლობას ამყარებს, მაგრამ სასამართლოებს არ ავალდებულებს გაარკვიონ, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მყოფ პირებს უკვე საბოლოოდ მიესაჯათ თუ არა სასჯელი სხვა ხელშემკვრელი მხარის მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული

კონვენციის მე-13 მუხლი ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს გამოითხოვოს სხვა ხელშემკვრელი მხარისგან ინფორმაცია პირის ნასამართლეობის შესახებ და ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელს ეხება სისხლის სამართლის საქმის საჭიროებისათვის.

პროცედურები

გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და საპროცესო სამართალი

არსებული საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები ეხება მხოლოდ მსხვერპლ ბავშვებზე ადაპტირებულ სასამართლო პროცედურის აუცილებლობას. ეროვნული კანონმდებლობების შესახებ ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს ამ სფეროში არსებულ განსხვავებებს. სწორედ ამიტომ, კონვენციამ უნდა დაავალდებულოს ხელშემკვრელი მხარეები მხედველობაში მიიღონ უზენაესი ინტერესი, ბავშვთა უფლებები, მათი გამდაფრებული მგრძნობიარობა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ გამოძიებისა და სასამართლო პროცედურების მსვლელობისას, რათა უფრო მეტად არ მოხდეს უკვე გადატანილი ტრავმის დამძიმება. ცხადია, გატარებულმა ზომებმა არ უნდა ხელჰყოს დამნაშავის უფლებებიც (დაცვის უფლება, საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება), როგორც აღნიშნულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში.

მოცემულ საკითხზე სამართალწარმოება პრიორიტეტული უნდა იყოს, ყოველგვარი დაუსაბუთებელი დაგვიანების გარეშე (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გატარებული ღონისძიება გულისხმობს სავარაუდო დამნაშავის ან მსხვერპლის განრიდებას ოჯახური გარემოდან). შესაძლებლობის ფარგლებში, გამოძიება საიდუმლოდ უნდა მიმდინარეობდეს თუ შესაბამისი დანაშაულების ფორმა და სიმძიმე ამის შესაძლებლობას იძლევა.

დაცვის ზოგადი ღონისძიებები

კონვენცია ხელშემკვერელ მხარეებს აკისრებს პროცედურული ვალდებულებების შემოღებას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე ბავშვთა დაცვის უზრუნველსაყოფად (გამოძიებიდან განაჩენის გამოტანამდე):

- ▶ ბავშვების, მათი ოჯახების ან კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება სამართალწარმოების მსვლელობასა და მათ განკარგულებაში არსებული სამსახურების, განსასჯელი ან მსჯავრდებული პირის შესაძლო განთავისუფლების შესახებ;
- ▶ ბავშვებზე, მათ ოჯახებსა თუ ბრალდების მოწმეებზე ზრუნვა, მათი დაცვა, დასჯის რისკის, დაშინების, ახალი მსხვერპლის ან სავარაუდო დამნაშავესთან შეხვედრის თავიდან აცილება, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს სასარგებლო და აუცილებელია საპროცესო თვალსაზრისით;
- ▶ ბავშვების მოსმენის, მტკიცებულებების წარდგენის, პირადი ცხოვრების დაცვის შესაძლებლობა, კერძოდ, მათი პირადობისა და სურათის გასაჯაროების შემდეგ;
- ▶ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრა მსხვერპლის მიერ საჩივრის წარდგენის აუცილებლობის გარეშე და სამართალწარმოების გაგრძელება მსხვერპლის მიერ საჩივარზე უარის თქმის შემდეგაც, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს.

რამდენიმე სხვა უფლებაც ასევე გარანტირებულია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაზარალებული ბავშვებისათვის:

- ▶ სასამართლო და ადმინისტრაციულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება (ზოგიერთ სახელმწიფოში, მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემის პროცედურები ადმინისტრაციული ხასიათისაა);
- ▶ უფასო იურიდიული დახმარების უფლება, როდესაც ეს გამართლებულია, მსხვერპლთა სასარგებლოდ. უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობა ავტომატური არ

არის, თუმცა ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა დაიცვან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვით, სასამართლოზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობა, შესაძლოა საჭიროებდეს ადვოკატის უფასო დახმარებას. უნდა გაირკვეს, შესაძლებელია თუ არა იურიდიული დახმარების გარეშე პირის სასამართლოს წინაშე წარდგენა ანუ, რამდენად შეუძლია პიროვნებას ადეკვატური და დამაკმაყოფილებელი ფორმით არგუმენტების წარდგენა (გადაწყვეტილება საქმეზე *Airey v. Ireland*, 9 ოქტომბერი 1979). ამგვარად, მოსამართლემ უნდა განსაჯოს, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, დაშვებულ უნდა იქნეს თუ არა სასამართლო დახმარება, როდესაც პიროვნებას არ შეუძლია ადვოკატისათვის ჰონორარის გადახდა;

- ▶ სასამართლო განხილვაზე სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით წარდგენის უფლება, როდესაც მშობელთა პასუხისმგებლობის მქონე პირები ან ისინი, რომლებსაც ბავშვის დაცვა ევალებათ, ამა თუ იმ ფორმით გარეულნი არიან საქმეში ან თუ ირღვევა მიუკერძოებლობა ბავშვის ინტერესთა დაცვისას.

ხანდაზმულობა

ხშირად, სექსუალური ექსპლუატაციისა თუ სექსუალური ძალადობის მსხვერპლს დიდი დრო სჭირდება განცდილის მოსაყოლად; შეშინებული ბავშვები დუმილს არჩევენ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია საკმარისად ხანგრძლივი დროის გათვალისწინება, რათა მსხვერპლს შესაძლებლობა მიეცეს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, მიაღწიოს გარკვეულ მოწიფულობასა და დამოუკიდებლობას ფაქტების გასამხელად. სწორედ აქედან გამომდინარე, კონვენცია მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარეებს, მსხვერპლთა სასარგებლოდ, გაითვალისწინონ საკმარისი ხანგრძლივობა სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ, რათა აღიმრას სისხლისსამართლებრივი დევნა. ეს შესაძლებლობა შემოიფარგლება მხოლოდ განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულებით (სექსუალური

ძალადობა, ბავშვთა პროსტიტუციაში ჩაბმა და დამაღების გზით მათი გამოყენება, ბავშვების მონაწილეობა პორნოგრაფიულ წარმოდგენებში). მაგალითად, ინგლისის კანონმდებლობა ასეთი დანაშაულისთვის არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის არსებობას, საფრანგეთის კანონმდებლობა ხანდაზმულობის 20-წლიან ვადას ადგენს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ხოლო იტალიელი და პორტუგალიელი კანონმდებლები არ ადგენენ წესებს მსხვერპლის ასაკის მიხედვით.

გამოძიება და ბავშვისგან ჩვენების მიღება

კონვენციის მიხედვით, გამოძიება ბავშვთა ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტებმა უნდა აწარმოონ. ბავშვისგან ჩვენება ბავშვთა ფსიქოლოგიაში სათანადოდ მომზადებულმა სპეციალისტებმა უნდა მიიღონ, რათა შესაძლებელი გახდეს მასთან მიდგომა, ნდობის მოპოვება, რათა თავისუფლად გამოხატოს აზრი. სასამართლო პროცესის მონაწილეებს (მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები), სურვილის შემთხვევაში და მათი დამოუკიდებლობის დაცვის პირობით, უნდა შეეძლოთ ბავშვთა უფლებების, ასევე ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის შესახებ სათანადო ტრენინგების გავლა.

ფაქტების გამხელიდან ძალიან მალევე უნდა მოხდეს მოსმენა, ადაპტირებულ და უსაფრთხო გარემოში და თუ შესაძლებელია ყოველთვის ერთსა და იმავე პიროვნებასთან ან მესამე ნაცნობ პირთან ერთად, რომელიც ბავშვს ახლავს, თუ საპირისპირო დასაბუთებული გადაწყვეტილება არ არსებობს. შესაძლებელია მოხდეს დაზარალებული ბავშვის ჩვენების აუდიო-ვიდეო ჩაწერა შიდა სამართლის შესაბამისად, რაც პროცესზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც მტკიცებულება სამედიცინო და თერაპიული სამსახურების მიერ. ბავშვის დაცვის და მისგან ჩვენების მიღების გასამარტივებლად, მოსამართლემ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პროცესის დახურვის შესახებ და ბავშვის მოსმენა გადაწყვიტოს ფაქტების სავარაუდო ჩამდენთან პირდაპირი კონფრონტაციის გარეშე (ვიდეო-კონფერენცია).

კონვენციის დებულებების გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ევროპის საბჭოს მთავრობათაშორისი საქმიანობის ფარგლებში, ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და მართლმსაჯულების მიერ მათი საქმეების განსახილველად 2010 წლის 17 ნოემბერს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო « სახელმძღვანელო წესები ბავშვებისთვის ადაპტირებული მართლმსაჯულების შესახებ ».

სექსობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა შესახებ ეროვნული მონაცემების რეგისტრაცია და შენახვა

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენციისა და დასჯის მიზნით, კონვენცია მიიჩნევს, რომ მსავრდებულ პირთა პიროვნებასთან და გენეტიკურ პროფილთან დაკავშირებული მონაცემები უნდა ჩაიწეროს, შეინახოს და თუ აუცილებელია, გადაეცეს სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, პერსონალური ხასიათის მონაცემთა დაცვასთან¹⁰ მიმართებით არსებული დებულებებისა და თითოეული სახელმწიფოს შიდა სამართლის შესაბამისად. სახელმწიფოებს, რომლებსაც მოქნილი სისტემა

10. პერსონალურ ხასიათის მონაცემთა ავტომატური დამუშავებისგან პიროვნების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, „პერსონალური ხასიათის მონაცემები, რომლებიც ავტომატურად მუშავდება: ა. მოპოვებული და დამუშავებულია ლოიალურად და კანონიერად; ბ. ჩაწერილია განსაზღვრული და კანონიერი მიზნებისათვის და ამ მიზნებთან შეუთავსებლად არ გამოიყენება; გ. ადეკვატურია, ზუსტია და არ არის გადამეტებული იმ მიზანთან მიმართებით, რომლისთვისაც მოხდა მათი რეგისტრირება; დ. ზუსტია და აუცილებლობის შემთხვევაში ხდება მათი განახლება; ე. დაარქივებულია ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელს ხდის საჭირო პირთა იდენტიფიკაციას გარკვეული ხანგრძლივობით, რომელიც არ სცდება საქმის დასრულებისათვის აუცილებელ ხანგრძლივობას.“ ამას გარდა. თითოეული ფაილისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ზომები უნდა იქნეს მიღებული მისი მნიშვნელობის შესაბამისად ან აუცილებლობის შემთხვევაში შეიზღუდოს მასზე ხელმისაწვდომობა რეგისტრაციის ორგანიზებისა და სხვა საავალდებულო ზომების მიღების ფარგლებში, გრძელვადიანი პერსპექტივით.

გააჩნიათ, შეუძლიათ დაადგინონ ამ ვალდებულების ასამოქმედებელი დებულებები. ამ თვალსაზრისით, ეროვნული პარლამენტებისთვის, მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია n°1733(2010) სახელწოდებით « სექსობრივი დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ ზომების გაძლიერება. »

საერთაშორისო თანამშრომლობა

კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ სისხლის სამართლის, პრევენციის, ბავშვთა დაცვისა და დახმარების სფეროებში.

რაც შეეხება სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო თანამშრომლობას, ევროპის საბჭოს უკვე გააჩნია მნიშვნელოვანი ნორმატიული ჩარჩო. ამგვარად, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, კონვენცია სისხლის სამართლის დარგში სასამართლო ურთიერთდახმარების შესახებ დამათი დამატებითი ოქმები, და კონვენცია დანაშაულის შედეგების გათეთრების, გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ შეადგენს იმ ყოვლისმომცველ ინსტრუმენტებს რომლებიც შემუშავებულია მრავალ დანაშაულთან მიმართებით გამოსაყენებლად.

თავის მხრივ, კონვენცია ადგენს რამდენიმე ზოგად პრინციპს საერთაშორისო თანამშრომლობისათვის :

- ▶ ხელშემკვრელმა მხარეებმა შეძლებისდაგვარად უნდა აღმოფხვრან დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებს ინფორმაციისა და მტკიცებულებების გადაცემას და ითანამშრომლონ პრევენციისა და ბავშვებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საქმეში, ასევე იმ პროცედურულ საკითხებზე რომლებიც დანაშაულებს ეხება ;
- ▶ ხელშემკვრელმა მხარეებმა მსხვერპლს უნდა მისცენ იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების წინაშე საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა, სადაც ის ცხოვრობს, იმ

შემთხვევაში თუ დანაშაული სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი ;

- ▶ ხელშემკვრელ მხარეებს, სასამართლო თანამშრომლობის მიზნით, შეუძლიათ დაეყრდნონ ლანჩაროტეს კონვენციას, რომელიც საკმარის სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს;
- ▶ ხელშემკვრელი მხარეები უნდა შეეცადონ, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ჩართონ მესამე სამყაროს სახელმწიფოთა განვითარებისათვის განხორციელებულ დახმარების პროგრამებში. რეალურად, ევროპის საბჭოს წევრ მრავალ სახელმწიფოს გააჩნია ამგვარი პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა თემას ეხება, როგორებიცაა სამართლებრივი სახელმწიფოს აღდგენა თუ განმტკიცება, სასამართლო ინსტიტუტების განვითარება ან ტექნიკური დახმარება საერთაშორისო კონვენციების ასამოქმედებლად.

მონიტორინგის მექანიზმი - მხარე Ia კომიტეტი

შემადგენლობა

კონვენცია ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმს, რომლის მიზანია ხელშემკვრელი მხარეების მიერ მისი ეფექტური ამოქმედების უზრუნველყოფა. ეს მექანიზმი ეყრდნობა ერთ ინსტანციას, ხელშემკვრელ მხარეთა კომიტეტს, რომელშიც შედიან კონვენციის ხელშემკვრელ მხარეთა წარმომადგენლები. ამგვარად, პირველ ეტაპზე საქმე ეხება საკმაოდ ზოგადი ხასიათის მონიტორინგის მექანიზმს, რომელიც მაინცდამაინც არ გულისხმობს სპეციფიკური სახელმწიფო სტრუქტურების ამოქმედებას ბავშვთა უფლებების სფეროში. კომიტეტს პირველად მოიწვევს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი, მეათე ხელმოწერი სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ (2010 წლის დეკემბერში კონვენცია უკვე იყო რატიფიცირებული ათი სახელმწიფოს მიერ) და მისი ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში. ეს პირობა გათვალისწინებულია იმისათვის, რომ კომიტეტში შედიოდეს სახელმწიფოთა საკმარისი

რაოდენობა ეფექტური და სანდო მონიტორინგის განსახორციელებლად. შემდგომში, იგი შეიკრიბება ხელშემკვრელი მხარეების ერთი მესამედის ან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის თხოვნით.

აგრეთვე, გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს სხვა ორგანოების მონაწილეობის შესაძლებლობა მონიტორინგის პროცედურაში. კერძოდ, იგულისხმება საპარლამენტო ასამბლეა, ადამიანის უფლებათა კომისარი და კრიმინალური პრობლემების ევროპული კომიტეტი, ასევე სხვა კომიტეტების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის საფუძველზე შეუძლიათ დამატებითი ღირებულება შესძინონ მონიტორინგის მექანიზმს¹¹. სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ჩართულია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ასევე მიწვეულია ერთობლივად მუშაობისათვის.

ფუნქციები

მხარეთა კომიტეტს სამი ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

- ▶ კონვენციის გამოყენებისა და ამოქმედების გამარტივება და გაუმჯობესება ;
- ▶ აზრის გამოხატვა კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- ▶ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის, გამოცდილებისა და წარმატებული პრაქტიკის შეგროვების, ანალიზისა და გაცვლის ცენტრის როლის შესრულება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სფეროებში მათი ეროვნული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

11. ეს კომიტეტებია იურიდიული თანამშრომლობის ევროპული კომიტეტი (CDCJ), სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი (CEDS), ახალგაზრდობის საკონსულტაციო საბჭო (CCJ), სოციალური ერთობის ევროპული კომიტეტი (CDCS) და განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ხელმძღვანელი კომიტეტი (CDDH).

კონვენციის ურთიერთმიმართება სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან

- ▶ კავშირი გაერო-ს ბავშვთა უფლებების კონვენციასა და ბავშვებით ვაჭრობის გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პონოგრაფიის შესახებ დამატებით ოქმთან: კონვენცია არ ეხება გაერო-ს კონვენციისა და მისი ოქმის დებულებებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს. მისი მიზანია ამ ინსტრუმენტებით გარანტირებული დაცვის გაძლიერება და მათი შემადგენელი ნორმების განვითარება ;
- ▶ ურთიერთმიმართება სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან: კონვენცია არ ეხება სხვა მრავალმხრივი თუ ორმხრივი ხელშეკრულებებით დაცულ უფლებებსა და ვალდებულებებს და არც იმ საკითხების შესახებ არსებულ მექანიზმებს, რომლებსაც ის ასევე მოიცავს. ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ კონვენციით დარეგულირებული საკითხების შესახებ გააფორმონ ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებები ან სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები, კონვენციიდან გადახვევის გარეშე.
- ▶ განსაკუთრებით, რაც შეეხება ევროკავშირს, ეს უკანასკნელი სარგებლობს ე.წ. « არგამოყენების დათქმით », რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ერთმანეთთან ურთიერთობისას, თანამეგობრობისა და ევროკავშირის ნორმებს გამოიყენებენ იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობს ეს ნორმები და რომლებიც არეგულირებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საკითხებს, ევროპის საბჭოს კონვენციის მიზნებისა და ამოცანების ხელყოფის გარეშე.

კონვენციაში ცვლილებების შეტანა

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ გამოვიდნენ კონვენციის დებულებებში ცვლილებების შეტანის წინადადებით, რომლის შესახებ უნდა ეცნობოს ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, ყველა ხელმომწერს, ყველა ხელშემკვრელ მხარეს,

ევროპულ თანამეგობრობასა და ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც შეთავაზებული აქვთ კონვენციაზე ხელმოწერა. კრიმინალური პრობლემების ევროპული კომიტეტი ამზადებს დასკვნას წარდგენილ შესწორებებთან დაკავშირებით, რომელიც გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს. წინადადებისა და მომზადებული დასკვნის განხილვის შემდეგ, მინისტრთა კომიტეტმა საკონსულტაციოდ უნდა მიმართოს ხელშემკვრელ მხარეებს, ცვლილების შეტანის შესახებ მათგან მიიღოს ერთსულოვანი თანხმობა და ბოლოს მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დასკვნითი დებულებები

კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს, ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოებისათვის, ევროპის საბჭოს არაწევრი ქვეყნებისათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში (ვატიკანი, იაპონია, მექსიკა, აშშ და კანადა).

მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, ხელშემკვრელ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, კონვენციაზე ხელის მოსაწერად მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი ქვეყანა.

მისი გადაწყვეტილება წევრების ორი მესამედის უმრავლესობით დაიმხელშემკვრელი მხარეების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უნდა იქნეს მიღებული, რომლებიც მინისტრთა კომიტეტში შედიან. კონვენციაზე მიერთება შესაძლებელია კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, კერძოდ კი 2010 წლის პირველი ივლისიდან, მისი მეხუთე სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების შემდეგ.

სხვადასხვა დროს, კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთი ან რამდენიმე ტერიტორია, რომელთა მიმართ მოხდება ამ კონვენციის გამოყენება. თუმცა კონვენციის დანიშნულებისა და მიზნისათვის შეუთავსებელი იქნებოდა ის ფაქტი რომ სახელმწიფოებს, ყოველგვარი საფუძვლიანი დასაბუთების გარეშე, გამოერიცხათ თავიანთი ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილი კონვენციის დებულებების გამოყენების არეალიდან.

ხელშემკვრელ მხარეებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დათქმების გაკეთება კონვენციის ზოგიერთი დებულებთან მიმართებით, როდესაც მსგავსი დათქმების გაკეთება საგანგებოდ არის ნებადართული. დათქმების მიზანია, რაც შეიძლება უფრო მეტ სახელმწიფოს მიეცეს კონვენციის რატიფიკაციის შესაძლებლობა, ისე რომ სრულიად შეინარჩუნონ საკუთარი ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპები.

5. ბოლოთქმა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე

სექსუალური ძალადობა კომპლექსური, მგრძნობიარე და შემაშფოთებლად გავრცელებული ფენომენია. მონაცემების თანახმად, დაახლოებით ყოველი მეხუთე ბავშვი ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ამ სახელმძღვანელოში დეტალურადაა აღწერილი სექსუალური ძალადობის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები და სხვა ქმედებები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია, რათა თავიდან იქნას აცილებული სექსუალური ძალადობა, შეიქმნას ბავშვთა დაცვის მყარი გარანტიები და ბოლო მოეღოს დაუსჯელობას.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად ევროპის საბჭომ რომში გამართა „ყოველი მეხუთე“ წამოიწყო. ამ დროის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც მოახდინეს ლანსაროტეს კონვენციის რატიფიცირება. კონვენციის ეფექტურად განხორციელების მონიტორინგი ლანსაროტეს კომიტეტის კომპეტენციაა. კომიტეტი მალე დაიწყებს ინფორმაციის შეგროვებას წევრ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ და გააკონტროლებს, რამდენად შეესაბამება წევრ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობა და მათ მიერ გატარებული პოლიტიკა კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. გარდა ამისა, კომიტეტი გამოცდილების გაზიარებისა და პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობის მნიშვნელოვანი ფორუმი: ის ეხმარება წევრ ქვეყნებს, დაძლიონ დაბრკოლებები, რომლებსაც ბავშვებზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეში აწყდებიან.

კამპანიამ „ყოველი მეხუთე“ უკვე დაადასტურა თავისი ეფექტურობა. მის ფარგლებში არაერთი ქმედითი საშუალება შეიქმნა ამ სფეროში ჩართული მხარეების დასახმარებლად. ეს ინიციატივა მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს პარლამენტარებს, სახელმწიფო მოხელეებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადამიანის უფლებათა დამცველებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს, მშობლებს და თავად ბავშვებს სექსუალური ძალადობის თავიდან აცილებისა და მისი ფაქტების მხილების საქმეში. კამპანია უკვე ევროპის საზღვრებსაც კი გასცდა.

საპარლამენტო ასამბლეა კვლავაც ასრულებს გადამწყვეტ როლს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც თანადგომა გამოუცხადა ინიციატივას „ყოველი მეხუთე“, ასამბლეამ უმოკლეს დროში სრულიად კონკრეტული და უაღრესად ეფექტური ნაბიჯები გადადგა მის მხარდასაჭერად.

მინდა, მოვუწოდო ევროპის ქვეყნების პარლამენტებსა და პარლამენტარებს, შეუერთდნენ ამ მნიშვნელოვან კამპანიას. ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და თითოეული ჩვენგანის გულწრფელ ჩართულობასა და ძალისხმევას მოითხოვს.

თქვენი მხარდაჭერის იმედით,

გაბრიელა ბატინი - დრაგონი
ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე

დანართი I

**ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა
და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის
ევროპის საბჭოს კონვენცია**

**ევროპის საბჭოს ხელშეკრულებათა სერია -
No. 201**

ლანზაროტი, 25.X.2007

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და წინამდებარე კონვენციის სხვა ხელმომწერი სახელმწიფოები;

მიიჩნევენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა;

მიიჩნევენ რა, რომ თითოეული ბავშვის უფლებაა, საკუთარი ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ისარგებლოს დაცვის ისეთი მექანიზმებით, რაც აუცილებელია მისი, როგორც მცირეწლოვანის სტატუსის შესაბამისად;

განიხილავენ რა, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და განსაკუთრებით კი ბავშვთა პორნოგრაფია და პროსტიტუცია, აგრეთვე ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობა ბავშვების მიმართ, საზღვარგარეთ ჩადენილ ქმედებათა ჩათვლით, დამთრგუნველია ბავშვთა ჯანმრთელობისა და მათი ფსიქიკურ-სოციალური განვითარებისათვის;

განიხილავენ რა, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და მათ მიმართ სექსუალური ძალადობა იზრდება შემამფოთებელი პროპორციებით როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, განსაკუთრებით, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICTs) მზარდი გამოყენების თვალსაზრისით, როგორც თვით ბავშვების, ასევე დამნაშავეების მხრიდან, და რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია საჭიროებს საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ბავშვთა კეთილდღეობა და მათი ინტერესები ფუნდამენტური ღირებულებებია, რომლებსაც იზიარებს ყველა წევრი სახელმწიფო და რომელიც საჭიროებს ხელშეწყობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;

იხსენებენ რა ევროპის საბჭოს სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობათა მე-3 სამიტზე (ვარშავა, 16-17 მაისი, 2005) მიღებულ

სამოქმედო გეგმას, რომელიც მოუწოდებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის აღკვეთის ღონისძიებების შემუშავებისაკენ;

გამორჩეულად იხსენებენ რა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას No. R (91) 11 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის, პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის, ასევე ბავშვთა და მოზარდთა ტრეფიკინგის შესახებ, რეკომენდაციას Rec(2001)16 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისაგან დაცვის შესახებ, და კონვენციას კიბერდანაშაულის შესახებ (ETS No. 185), განსაკუთრებით კი მის მე-9 მუხლს, აგრეთვე ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (CETS No. 197);

მხედველობაში იღებენ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას (1950, ETS No. 5), ევროპის შესწორებულ სოციალურ ქარტიას (1996, ETS No. 163), და ევროპულ კონვენციას ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ (1996, ETS No. 160);

აგრეთვე მხედველობაში იღებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციას, განსაკუთრებით მის 34-ე მუხლს, ფაკულტატურ ოქმს ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, ოქმს ადამიანების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, რომელიც ავსებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის

შესახებ და აგრეთვე საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის კონვენციას ბავშვთა შრომის ყველაზე სასტიკი გამოვლენების აღმოსაფხვრელად მათზე დაუყოვნებელი რეაგირებისა და მათი აკრძალვის შესახებ;

მხედველობაში იღებენ რა ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვის პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

(2004/68/JHA), ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას სისხლის სამართალწარმოების პროცესში მსხვერპლთა სტატუსის შესახებ (2001/220/JHA), ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2002/629/JHA);

მიაპყრობენ რა სათანადო ყურადღებას ამ სფეროს სხვა, შესაბამის საერთაშორისო მექანიზმებსა და პროგრამებს, კერძოდ, სტოკჰოლმის დეკლარაციასა და სამოქმედო გეგმას, რომელიც მიიღეს ბავშვთა კომერციული მიზნებით სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ მსოფლიო კონგრესზე (1996 წლის 27-31 აგვისტო); იოკოჰამას გლობალურ ვალდებულებას, რომელიც მიიღეს ბავშვთა კომერციული მიზნებით სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე მსოფლიო კონგრესზე (2001 წლის 17-20 დეკემბერი); ბუდაპეშტის ვალდებულებასა და სამოქმედო გეგმას, რომელიც მიიღეს ბავშვთა კომერციული მიზნებით სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე მსოფლიო კონგრესისათვის მოსამზადებელ კონფერენციაზე (2001 წლის 20-21 ნოემბერი), გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის S-27/2 რეზოლუციას – “შესაფერისი მსოფლიო - ბავშვებს” და სამწლიან პროგრამას „ევროპის მშენებლობა ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“, რომელიც მიიღეს მესამე სამიტის დასრულების შემდეგ, ხოლო დაიწყო მონაკოს კონფერენციაზე (2006 წლის 4-5 აპრილი);

გადაწყვიტეს რა, ეფექტიანად შეუწყონ ხელი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობისაგან დაცვის საერთო მიზანს, დამნაშავეს ვინაობის მიუხედავად, და დახმარება აღმოუჩინონ მსხვერპლთ;

მხედველობაში იღებენ რა ყოვლისმომცველი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების შემუშავების აუცილებლობას, რომელთა მიზანია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია, აღკვეთა და მსხვერპლთა დაცვა და მონიტორინგის სპეციალური მექანიზმების შემუშავება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I – მიზნები, არადისკრიმინაციულობის პრინციპი და განსაზღვრებები

მუხლი 1 – მიზნები

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებია:
 - a. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა;
 - b. სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მხვერპლი ბავშვების უფლებების დაცვა;
 - c. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.
2. მონაწილეთა მიერ ამ კონვენციის დებულებათა ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კონვენციის საფუძველზე იქმნება მონიტორინგის სპეციალური მექანიზმი.

მუხლი 2 – არადისკრიმინაციულობის პრინციპი

მონაწილე მხარეებისაგან წინამდებარე კონვენციის დებულებათა განხორციელება, კერძოდ, მსხვერპლთა უფლებების დასაცავად ზომების მიღება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგიური მრწამსი, პოლიტიკური შეხედულებები, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობის წევრობა, ქონება, დაბადება, სექსუალური ორიენტაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა ან სხვა სტატუსი.

მუხლი 3 – განსაზღვრებები წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის:

- a. “ბავშვი” ნიშნავს თვრამეტ წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს;
- b. “ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა მათ მიმართ” მოიცავს ამ კონვენციის მე-18-დან 23-ე მუხლის ჩათვლით გათვალისწინებულ ქმედებებს;
- c. “მსხვერპლი” ნიშნავს ნებისმიერ ბავშვს, რომელიც გახდა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ობიექტი.

თავი II – პრევენციული ზომები

მუხლი 4 – პრინციპები

თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ბოროტმოქმედების ნებისმიერი გამოვლინების პრევენციისა და ბავშვთა დაცვის მიზნით.

მუხლი 5 – ბავშვებთან მომუშავე პირების შერჩევა, ტრეინინგი და ცნობიერების ამაღლება

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა აამაღლონ ცნობიერება ბავშვთა დაცვისა და მათი უფლებების შესახებ იმ პირთა შორის, რომლებსაც რეგულარული კონტაქტი აქვთ ბავშვებთან საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, იურიდიულ და სამართალდამცავ სექტორებში, ასევე სპორტის, კულტურისა და დასვენების სფეროში.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ პირველ პუნქტში განსაზღვრულ პირებს ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ

სექსუალური ძალადობის შესახებ, აგრეთვე ამგვარ ქმედებათა იდენტიფიკაციისა და მე-12 მუხლის 1- ლ პუნქტში მოცემულ შესაძლებლობათა შესახებ.

3. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, რათა იმ პროფესიებით დაკავებისათვის, რომელთა გამოყენებაც გულისხმობს ბავშვებთან რეგულარულ კონტაქტს, არსებობდეს ისეთი პირობები, რაც უზრუნველყოფს, რომ ამგვარ პროფესიათა მამიებელი კანდიდატები არ იქნებიან წარსულში ნასამართლევი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობისათვის.

მუხლი 6 – ბავშვების განათლება

თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ დაწყებით და საშუალო საგანმანათლებლო ეტაპებზე ბავშვებმა მიიღონ სათანადო ინფორმაცია სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის რისკის შესახებ, აგრეთვე თავდაცვის საშუალებათა შესახებ, მათი განვითარების შესაბამისად. მშობლებთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ მიწოდებული ამგვარი ინფორმაცია ბავშვებს უნდა გადაეცეთ სექსუალობის შესახებ ინფორმაციის ფართო კონტექსტში და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სარისკო სიტუაციებზე, განსაკუთრებით, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას.

მუხლი 7 - პრევენციული ჩარევის პროგრამები ან ღონისძიებები

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ თუ პირები შიშობენ ამ კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ისეთი ეფექტიანი ჩარევის პროგრამები ან ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებისა და პრევენციისათვის.

მუხლი 8 – ფართო საზოგადოებისათვის საჭირო ღონისძიებები

1. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს და გასწევს ცნობიერების ამაღლების კამპანიას, ფართო საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ფენომენის, ასევე მათ წინააღმდეგ მისაღები ზომების შესახებ.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს იმ მასალების გავრელების პრევენციისა ან აკრძალვისათვის, რომლებიც რეკლამირებას უწევს კონვენციით დადგენილ დანაშაულებს.

მუხლი 9 – ბავშვების, კერძო სექტორის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

1. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს ბავშვების მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის, პროგრამებისა თუ სხვა ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში, მათივე განვითარების შესაბამისად, რაც მათ სექსუალურ ექსპლუატაციასა და მათ მიმართ სექსუალურ ძალადობას უკავშირდება.
2. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს კერძო სექტორს, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორს, ტურიზმსა და სამოგზაურო ინდუსტრიას, აგრეთვე საბანკო და საფინანსო სექტორებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში, ასევე შიდა ნორმების განხორციელებაში, თვითრეგულირებისა და თანარეგულირების გზით.
3. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს მედიას, რომ მან გაავრცელოს საჭირო ინფორმაცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის

ყველანაირი გამოვლინების შესახებ, მედიის დამოუკიდებლობისა და პრესის თავისუფლების სათანადო პატივისცემით.

4. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს ისეთი პროექტებისა და პროგრამების დაფინანსებას, საჭიროების შემთხვევაში კი ფონდების შექმნასაც, რომლებსაც განახორციელებს სამოქალაქო საზოგადოება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის მიზნით.

თავი III – ხელისუფლების სპეციალიზირებული და საკოორდინაციო ორგანოები

მუხლი 10 – კოორდინაციისა და თანამშრომლობის ეროვნული ღონისძიებები

1. თითოეული მხარე გაატარებს ყველა საჭირო ზომას, რათა ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოს კოორდინაცია სხვადასხვა ორგანოს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვაზე, მის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე, განსაკუთრებით, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სექტორებში, ასევე სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა დააარსოს ან შექმნას:
 - a. დამოუკიდებელი კომპეტენტური ეროვნული ან ადგილობრივი დაწესებულებები ბავშვის უფლებათა დაცვისა და მათი ხელშეწყობის მიზნით და უზრუნველყოს მათი აღჭურვა კონკრეტული რესურსებითა და პასუხისმგებლობით;
2. მონაცემთა შეგროვების მექანიზმები, ან საკოორდინაციო ცენტრები, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით,

ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის ფენომენზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის, პირადი მონაცემების დაცვის ჯეროვანი პატივისცემით.

3. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს თანამშრომლობას ხელისუფლების ორგანოებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის, რათა უკეთ მოხდეს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

თავი IV – მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები და მათი დახმარება

მუხლი 11 – პრინციპები

1. თითოეული მხარე დანერგავს ეფექტიან სოციალურ პროგრამებს და დააარსებს მრავალდისციპლინარულ სტრუქტურებს, რათა აუცილებელი დახმარება აღმოუჩინონ მსხვერპლთ, მათ ახლო ნათესავებს და მათ მოვლაზე პასუხისმგებელ ნებისმიერ პირს.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილი დაცვისა და დახმარების ღონისძიებები გავრცელდეს ისეთ მსხვერპლზეც, რომლის ასაკი დაუდგენელია, მაგრამ არსებობს მიზეზები ვარაუდისათვის, რომ მსხვერპლი არის ბავშვი, სანამ მისი ასაკი დადგინდება.

მუხლი 12 საეჭვო სექსუალური ექსპლუატაციისა ან სექსუალური ძალადობის შეტყობინება

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ზოგიერთ პროფესიონალს, რომლებსაც იმახებენ ბავშვებთან სამუშაოს ჩასატარებლად, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული

კონფიდენციალურობის წესის გამო, არ შეეძენას რაიმე წინააღმდეგობა, შეატყობინოს ბავშვის დაცვაზე პასუხისმგებელ სამსახურებს ნებისმიერი ვითარების შესახებ, როცა კი გონივრული საფუძველი არსებობდა იმის სავარაუდოდ, რომ ბავშვი არის სექსუალური ექსპლუატაციისა ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა სტიმული მისცეს ნებისმიერ პირს, რომელმაც იცის ან ეჭვი აქვს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა ან მათ მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ, ამის შესახებ კეთილსინდისიერად აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

მუხლი 13 – ცხელი ხაზები

თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა სტიმული მისცეს და მხარი დაუჭიროს ისეთი საინფორმაციო მომსახურების დაარსებას, როგორიცაა სატელეფონო და ინტერნეტ ცხელი ხაზები, რათა დამრეკს მისცეს რჩევა ან კონფიდენციალურად ან მისი ანონიმურობის დაცვის სრული გარანტიით.

მუხლი 14 – მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა დაეხმარონ მსხვერპლთ მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნით როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერიოდში. ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის თვალსაზრისს, მის საჭიროებებსა და წუხილებს.
2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღებს საჭირო ზომებს არასამთავრობო და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ან იმ სამოქალაქო საზოგადოების სხვა ელემენტებთან თანამშრომლობისათვის, რომელთა საქმიანობაშიც შედის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა.

3. როდესაც ბავშვის სექსუალურ ექსპლუატაციაში ან მისდამი სექსუალურ ძალადობაში გარეულია ან მშობლები ან ბავშვის მეურვეები, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებით, ჩარევის პროცედურები უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - სავარაუდო დამნაშავეის ჩამოშორების შესაძლებლობას;
 - მსხვერპლის საკუთარი ოჯახის გარემოსთვის ჩამოშორების შესაძლებლობას. ამგვარი ჩამოშორების პირობები და ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
4. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ მსხვერპლთან დაახლოებულმა პირებმა, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ თერაპიული დახმარება, კერძოდ, სასწრაფო ფსიქოლოგიური დახმარება.

თავი V – საინტერვენციო პროგრამები და ღონისძიებები

მუხლი 15 – ზოგადი პრინციპები

1. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ან ხელს შეუწყობს ეფექტიანი საინტერვენციო პროგრამებისა ან ღონისძიებების არსებობას იმ პირებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია მე-16 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში, რათა შემცირდეს ბავშვების მიმართ განმეორებითი სექსუალური ხასიათის დანაშაულის რისკი. ამგვარი პროგრამები ან ღონისძიებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართალწარმოების პროცესში ნებისმიერ დროს, ციხეში თუ ციხის გარეთ, შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ან ხელს შეუწყობს პარტნიორობის ან თანამშრომლობის სხვა ფორმების განვითარებას

ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შორის, კერძოდ კი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სამსახურებს, სასამართლო ხელისუფლებასა და სხვა ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხს აგებენ მე-16 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში განსაზღვრულ პირებზე.

3. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, გაითვალისწინებს კონვენციის თანახმად დადგენილ დანაშაულთა საშიშროებასა და განმეორებითი ჩადენის რისკის შეფასებას იმ პირთა მიერ, რომლებიც მე-16 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებშია განსაზღვრული, რათა განსაზღვროს სათანადო პროგრამები და ღონისძიებები.
4. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, შეაფასებს განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების ეფექტიანობას.

მუხლი 16 – საინტერვენციო პროგრამებისა და ღონისძიებების მონაწილენი

1. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც განხორციელდა სისხლის სამართალწარმოება ამ კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის, ხელმისაწვდომი იყოს მე-15 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული პროგრამები ან ღონისძიებები იმ პირობებით, რომ არც ზიანს მიაყენებს და არც წინააღმდეგობაში მოვა დაცვის უფლებებთან, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნებთან და ჯეროვან პატივს მიაგებს უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპის წესს.
2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ იმ პირთათვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ამ კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის, ხელმისაწვდომი იყოს მე-15 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული პროგრამები ან ღონისძიებები

3. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ საინტერვენციო პროგრამები და ღონისძიებები შექმნილი და დაპტირებული იქნება სექსუალური დანაშაულის ჩამდენ ბავშვთა განვითარების საჭიროებებთან, იმ ბავშვების ჩათვლით, რომელთაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკისთვის ჯერ არ მიუღწევიათ, მათი სექსუალური ქცევის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 17 – ინფორმაცია და ნებართვა

1. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ მე-16 მუხლში განსაზღვრული პირები, რომელთაც შესთავაზეს საინტერვენციო პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, სრულად ფლობდნენ ინფორმაციას ამგვარი შეთავაზების მიზეზებზე და ეთანხმებოდნენ ამ პროგრამებსა ან ღონისძიებებში მონაწილეობას ფაქტების სრულად ცოდნით.
2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ იმ პირებმა, რომელთაც შესთავაზეს საინტერვენციო პროგრამები და ღონისძიებები, შესაძლებელია უარი თქვან მათზე, ხოლო მსჯავრდებულთა შემთხვევაში, მათ აუხსნეს იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ უარს.

თავი VI – ძირითადი სისხლის სამართლის კანონმდებლობა

თავი 18 – სექსუალური ძალადობა

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს შემდეგ განზრახ ჩადენილ ქმედებათა კრიმინალიზაცია:
 - a. სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, თუ მას, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების

თანახმად, არ მიუღწევია ამგვარი ურთიერთობებისთვის დაშვებული ასაკისთვის;

b. სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომლის დროსაც:

- გამოიყენება იძულება, ძალა ან დაშინება; ან
- ძალადობას ახორციელებს ნდობით აღჭურვილი ნაცნობი, ავტორიტეტული პირი ან ადამიანი, რომელსაც ბავშვზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ოჯახის წევრების ჩათვლით; ან
- ძალადობა ხორციელდება იმ ბავშვებზე, რომლებიც განსაკუთრებით უმწეონი არიან საკუთარი ფსიქიკური ან ფიზიკური უუნარობის გამო ან სხვაზე დამოკიდებულების გამო.

2. ზემოთ განხილული 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის, თითოეულმა მხარემ უნდა განსაზღვროს ასაკი, რომლის მიღწევამდეც აიკრძალება ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება.

3. 1.აპუნქტისდებულებებიარარეგულირებსარასრულწლოვანთა შორის ნებაყოფლობით სექსუალურ ურთიერთობას.

მუხლი 19 – ბავშვის პროსტიტუციასთან დაკავშირებული დანაშაულები

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს შემდეგ განზრახ ჩადენილ ქმედებათა კრიმინალიზაცია:

- a. ბავშვების დაქირავება პროსტიტუციის მიზნით, ან ბავშვის გამოწვევა პროსტიტუციაში მონაწილეობის მიზნით;
- b. ბავშვის იძულება, დაკავდეს პროსტიტუციით, ან ამ გზით მოგების მიღება ან ბავშვის სხვაგვარი ექსპლუატაცია ამგვარი მიზნებისათვის;

c. ბავშვის პროსტიტუციით სარგებლობა.

2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი “ბავშვის პროსტიტუცია” ნიშნავს ბავშვის სექსუალური ურთიერთობისათვის გამოყენების ფაქტს, როდესაც ამის სანაცვლოდ იძლევიან ან პირდებიან ფულს ან ანაზღაურების სხვა ფორმას ან რაიმე საზღაურს, იმისდა მიუხედავად ეს გადასახადი, დაპირება ან საზღაური განსაზღვრულია თავად ბავშვისათვის თუ მესამე პირისთვის.

მუხლი 20 – ბავშვის პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს შემდეგ განზრახ ქმედებათა კრიმინალიზაცია, თუ ისინი ჩადენილია ნებართვის გარეშე:
 - a. ბავშვის პორნოგრაფიის წარმოება;
 - b. ბავშვის პორნოგრაფიის შეთავაზება ან მის ხელმისაწვდომობაში დახმარება;
 - c. ბავშვის პორნოგრაფიის გავრცელება ან გადაცემა;
 - d. ბავშვის პორნოგრაფიის წარმოება როგორც საკუთარი, ისე სხვისი სარგებლობის მიზნით;
 - e. ბავშვის პორნოგრაფიის ფლობა;
 - f. ბავშვის პორნოგრაფიის მასალების შეგნებულად მოპოვება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.
2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი “ბავშვის პორნოგრაფია” ნიშნავს ნებისმიერ მასალას, რომელიც ვიზუალურად ასახავს ბავშვის მონაწილეობას რეალურ ან დადგმულ სექსუალურად აღმგზნებ ქმედებაში ან ბავშვის

სასქესო ორგანოს ნებისმიერ გამოსახულებას უპირატესად სექსუალური ვნების დაკმაყოფილების მიზნით.

3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას, უარი თქვას 1.a და e პუნქტების – პორნოგრაფიული მასალის წარმოება და ფლობა – მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებაზე, თუ:
 - იგი ასახავს დადგმულ სცენარს, ან არარსებული ბავშვის რეალურ გამოსახულებას;
 - მასში ჩართულნი არიან მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ასაკის ბავშვები, ისინი აწარმოებენ და ფლობენ ამ მასალას მათივე თანხმობითა და პირადი გამოყენების მიზნით.
4. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას, უარი თქვას 1.f პუნქტის მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებაზე.

მუხლი 21 – ბავშვის პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობასთან დაკავშირებული დანაშაული

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს შემდეგ განზრახ ჩადენილ ქმედებათა კრიმინალიზაცია:
 - a. ბავშვის დაყოლიება პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობის მიზნით ან ამგვარ წარმოდგენებში ბავშვის მონაწილეობის სხვაგვარად გამოწვევა;
 - b. ბავშვის იძულება პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობაზე ან ამგვარი ქცევით სარგებლის მიღება ან ბავშვის სხვაგვარი ექსპლუატაცია მსგავსი მიზნებისათვის;
 - c. ბავშვების მონაწილეობით შესრულებულ პორნოგრაფიულ წარმოდგენაზე შეგნებულად დასწრება.
2. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას, შეზღუდოს 1.c პუნქტის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვებს დაიყოლიებენ ან აიძულებენ 1.a ან b პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 22 – ბავშვების გარყვნა

თითოეული მხარე გაატარებს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ბავშვის, რომელსაც არ მიუღწევია მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ასაკისათვის, ბიძგება, ნაკარნახები სექსუალური მიზნებით, დამსწრე გახდეს სექსუალური ძალადობისა თუ სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებების, თუნდაც, რომ ბავშვს პირადად არ უწევდეს ამაში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 23 – ბავშვების დაყოლიება სექსუალური მიზნებისათვის

თითოეული მხარე გაატარებს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს სისხლისსამართლებრივი გზით დასჯა სრულწლოვანი პირის მიერ ბავშვისთვის, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ასაკისათვის, იმ შეხვედრის განზრახ შეთავაზება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც მიზნად ისახავს ბავშვის მიმართ მე-18 მუხლის 1.a პუნქტით ან მე-20 მუხლის 1.a პუნქტით განსაზღვრულ დანაშაულთა ჩადენას, თუკი შეთავაზებას მოჰყვება არსებითი ქმედებები შესაბამისი შეხვედრის მისაღწევად.

მუხლი 24 – ხელშეწყობა ან წაქეზება და მცდელობა

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობა ან წაქეზება, თუ ეს განზრახ არის გაკეთებული.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულის ჩადენის მცდელობა, თუ ეს განზრახ არის გაკეთებული.

3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას, უარი თქვას მე-2 პუნქტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებაზე იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც განსაზღვრულია მე-20 მუხლის 1.b, d, e და f პუნქტებით, 21-ე მუხლის 1.c პუნქტით, 22-ე და 23-ე მუხლებით.

მუხლი 25 – იურისდიქცია

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა გაავრცელოს იურისდიქცია წინამდებარე კონვენციით დადგენილ ნებისმიერ დანაშაულზე, თუ დანაშაული ჩადენილია:
 - a. მის ტერიტორიაზე; ან
 - b. იმ გემზე, რომელიც დაცურავს ამ მხარის დროშით; ან
 - c. იმ თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც რეგისტრირებულია ამ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად; ან
 - d. მისი რომელიმე მოქალაქის მიერ; ან
 - e. იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს მის ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის უფლება.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა გაავრცელოს იურისდიქცია წინამდებარე კონვენციით დადგენილ ნებისმიერ დანაშაულზე, თუ დანაშაული ჩადენილია მისი მოქალაქის ან იმ პირის მიმართ, რომელსაც აქვს მის ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის უფლება.
3. თითოეულ მხარეს შეუძლია, ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების თუ მიერთების აქტის დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციის საშუალებით განაცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას ან არ გამოიყენოს ამ მუხლის 1.e პუნქტით გათვალისწინებული იურისდიქციის წესები, ან გამოიყენოს ისინი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

4. ამ კონვენციის მე-18 და მე-19 მუხლებით, მე-20 მუხლის 1.a პუნქტითა და 21-ე მუხლის 1.a და b პუნქტებით დადგენილ დანაშაულთა სამართლებრივი დევნის მიზნით, თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ მისი იურისდიქცია 1.d პუნქტთან მიმართებით არ დაექვემდებაროს პირობას, რომ ქმედებათა კრიმინალიზაცია მოხდება იმ ადგილას, სადაც ის ჩაიდინეს.
5. თითოეულ მხარეს შეუძლია, ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების თუ მიერთების აქტის დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციის საშუალებით განაცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას, შეზღუდულად გამოიყენოს ამ მუხლის მე-4 პუნქტი იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებიც დადგენილია მე-18 მუხლის 1.b პუნქტით – მეორე და მესამე აზვაცებით – იმ შემთხვევებში, როცა მის მოქალაქეს აქვს მის ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის უფლება.
6. ამ კონვენციის მე-18 და მე-19 მუხლებით, მე-20 მუხლის 1.a პუნქტითა და 21 მუხლით დადგენილი დანაშაულების სამართლებრივი დევნის მიზნით, თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ მათი იურისდიქცია 1.d და e პუნქტების მიმართ არ დაექვემდებაროს ისეთ პირობას, რომლის თანახმადაც სამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ან მსხვერპლი განაცხადებს დანაშაულის შესახებ ან დანაშაულის ჩადენის ადგილზე არსებული სახელმწიფო წაუყენებს ბრალდებას.
7. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა თავისი იურისდიქცია გაავრცელოს წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულებზე იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მის ტერიტორიაზე და ის არ მოახდენს დამნაშავის ექსტრადირებას სხვა მხარისათვის მხოლოდ მისი მოქალაქეობის საფუძველზე.

8. თუ წინამდებარე კონვენციით დადგენილ სავარაუდო დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელებასთან დაკავშირებით პრეტენზიას აცხადებს რამდენიმე მხარე, ისინი, საჭიროების შემთხვევაში, გამართავენ კონსულტაციებს სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად ყველაზე შესაფერისი იურისდიქციის დადგენის მიზნით.
9. წინამდებარე კონვენცია არ გამოიცხადებს მხარის მიერ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გამოყენების შესაძლებლობას ისე, რომ ხელი არ შეუშალოს საერთაშორისო სამართლის ზოგად ნორმებს.

მუხლი 26 – კორპორატიული ვალდებულება

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ იურიდიულმა პირმა შეიძლება პასუხი აგოს წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულზე, რომელიც მის სასარგებლოდ ჩაიდინა ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა ან დამოუკიდებლად, ან როგორც იურიდიული პირის რომელიმე ორგანოს წევრმა, რომელსაც ამ იურიდიული პირის დაქვემდებარებაში წამყვანი თანამდებობა უჭირავს იმის საფუძველზე, რომ აქვს:
 - a. იურიდიული პირის წარმომადგენლობითი ძალაუფლება;
 - b. უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილებები იურიდიული პირის სახელით;
 - c. უფლებამოსილება, განახორციელოს კონტროლი იურიდიული პირის ფარგლებში.
2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ იურიდიულმა პირმა შეიძლება პასუხი აგოს იმ შემთხვევაში, თუ 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური პირის მხრიდან ზედამხედველობისა თუ კონტროლის ნაკლებობის გამო

შესაძლებელი გახდება ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ, მის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ.

3. მხარის სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შესაძლოა იყოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული.
4. ამგვარი პასუხისმგებლობას არ უნდა ახლდეს წინასწარი გადაწყვეტილება, რომ დანაშაულის ჩამდენ ფიზიკურ პირს უნდა დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 27 – სანქციები და ზომები

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულები, მათი სერიოზულობის გათვალისწინებით, დაისაჯოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი ზემოქმედების სანქციებით. ამგვარი სანქციები მოიცავს სასჯელის ისეთ ზომას, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ექსტრადაცია.
2. თითოეული მონაწილე მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ იურიდიული პირები, რომლებიც პასუხს აგებენ 26-ე მუხლის შესაბამისად, დაისაჯონ ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი ზემოქმედების სანქციებით, რომელთა შორისაა სისხლის სამართლებრივი ან არასისხლის სამართლებრივი ჯარიმა და სხვა ზომები, როგორიცაა:
 - a. სოციალური შემწეობისა ან დახმარების მიღების უფლების ჩამორთმევა;
 - b. კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის უფლების დროებით ან მუდმივად ჩამორთმევა;
 - c. სასამართლო ზედამხედველობის დაწესება;
 - d. სასამართლოს ბრძანება ლიკვიდაციის შესახებ.

3. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა:

a. უზრუნველყოს ჩამორთმევა და კონფისკაცია:

- საქონლის, დოკუმენტების და სხვა საშუალებების, რომლებიც გამოიყენებოდა ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულის ჩასადენად ან მათი ჩადენის დახმარების მიზნით;
- ამგვარი დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ან იმ ქონების, რომლის ღირებულებაც ამგვარი შემოსავლის ანალოგიურია;

b. შესაძლებელი გახადოს ნებისმიერი დაწესებულების დროებით თუ სამუდამოდ დახურვა, რომელიც გამოიყენებოდა ამ კონვენციით განსაზღვრული დანაშაულის ჩასადენად, *bona fide* მესამე მხარეების უფლებათა დარღვევის გარეშე ან დროებით თუ სამუდამოდ აკრძალოს დამნაშავეს ისეთი პროფესიული ან ნებაყოფლობითი საქმიანობა, რომლებიც გულისხმობს ბავშვებთან კონტაქტს, რა დროსაც ჩადენილი იქნა ასეთი დანაშაული.

4. თითოეული მხარე დამნაშავეს მიმართ მიიღებს სხვა ისეთ ზომებს, როგორიცაა მშობლის უფლებების ჩამორთმევა ან მსჯავრდებულთა მონიტორინგი თუ მათზე ზედამხედველობა.

5. თითოეული მხარე დააწესებს, რომ ამ მუხლის შესაბამისად დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავალი ან კონფისკაციით მიღებული შემოსავალი გადაირიცხოს საგანგებო ფონდში, რათა დაფინანსდეს წინამდებარე კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულის მსხვერპლთა პრევენციული და დასახმარებელი პროგრამები.

მუხლი 28 – დამამძიმებელი გარემოებები

თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულებისათვის სასჯელის

განსაზღვრისას, დამამძიმებლად ჩაითვალოს შემდეგი სახის გარემოებები, თუკი შიდა კანონმდებლობის შესაბამისი დებულებებით ისინი უკვე არ წარმოადგენენ დანაშაულის შემადგენელ ნაწილს:

- a. დანაშაულის ჩადენამ სერიოზული ზიანი მიაყენა მსხვერპლის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას;
- b. დანაშაულის ჩადენას წინ უძღოდა ან თან ახლდა წამება ან სერიოზული ძალადობა;
- c. დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით უმწეო მსხვერპლის მიმართ;
- d. დანაშაული ჩაიდინა ოჯახის წევრმა, ბავშვთან ერთად მცხოვრებმა პირმა ან პირმა, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თანამდებობა;
- e. დანაშაული ჩაიდინა რამდენიმე პირმა ერთობლივად;
- f. დანაშაული ჩადენილია სისხლის სამართლის ორგანიზაციის ფარგლებში;
- g. დამნაშავე ადრე ნასამართლევი იყო იმავე ტიპის დანაშაულზე.

მუხლი 29 – ნასამართლეობა

თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინონ სხვა მხარის მიერ წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოტანილი განაჩენი.

თავი VII – გამოძიება, სამართლებრივი დევნა და საპროცესო კანონმდებლობა

მუხლი 30 – პრინციპები

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ გამოძიებები და

სისხლის სამართალწარმოება განხორციელდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და მისი უფლებების დაცვით.

2. თითოეული მხარე გაიზიარებს მსხვერპლის დაცვის მიდგომას, რათა უზრუნველყოს, რომ გამოძიებებმა და სისხლის სამართალწარმოებამ არ დაამძიმოს ბავშვის მიერ მიღებული ტრამვა და სისხლის სამართლის პროცესს, საჭიროების შემთხვევაში, მოსდევდეს შესაბამისი დახმარება.
3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ გამოძიებებსა და სისხლის სამართალწარმოებას მიენიჭოს პრიორიტეტი და წარმართოს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.
4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე თავით განსაზღვრულმა ზომებმა არ შელახოს დაცვის უფლებები და სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო განხილვის მოთხოვნები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.
5. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რათა:
 - უზრუნველყოს წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულთა ეფექტიანი გამოძიება და სამართლებრივი დევნა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დაუშვას შენიღბული ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობაც;
 - სხვადასხვა ორგანოებსა და საგამოძიებო სამსახურებს მისცეს შესაძლებლობა, რომ გამოავლინონ მე-20 მუხლით დადგენილი დანაშაულის მსხვერპლნი, კერძოდ, გააანალიზონ საბავშვო პორნოგრაფიის ამსახველი მასალები, როგორიცაა ფოტოსურათები და გადაცემული ან საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ხელმისაწვდომი აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები.

მუხლი 31 – დაცვის ზოგადი ზომები

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, მათ შორის, მათი, როგორც მოწმეების განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაცავად გამოძიებისა და სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, კერძოდ, შემდეგი გზით:
 - a. მიაწოდონ ინფორმაცია მათი უფლებებისა და მათთვის არსებული სამსახურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათ ინფორმაციის მიღება არ სურთ, ასევე მათი საჩივრის მსვლელობის, ბრალდებების, ზოგადად გამოძიების ან სამართალწარმოების მიმდინარეობისა და ამ ყველაფრის როლის შესახებ, ისევე, როგორც მათი საქმეების შედეგების შესახებ;
 - b. როცა მსხვერპლთ და მათ ოჯახებს შეიძლება დაემუქროთ საფრთხე, სულ მცირე, ამ შემთხვევებში მაინც უზრუნველყონ მათი ინფორმირება, რომ სასამართლო დევნაში მყოფი ან ბრალდებული პირები მუდმივად ან დროებით გაათავისუფლეს;
 - c. საშუალება მისცენ, რომ შიდა სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად, მოუსმინონ მათ, წარმოადგინონ მტკიცებულებები და აირჩიონ, რა გზით სურთ თავიანთი შეხედულებების, საჭიროებათა და პრობლემების წარმოდგენა – უშუალოდ თუ შუამავლის მეშვეობით – და მათი განხილვა;
 - d. უზრუნველყონ მათთვის სათანადო დახმარების გაწევა, რათა ჯეროვნად წარმოაჩინონ და გაითვალისწინონ მათი უფლებები და ინტერესები;
 - e. დაიცვან მათი პირადი ცხოვრების უფლება, იდენტობა და იმიჯი და, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღონ ზომები ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რაც გამოიწვევს მათ იდენტიფიკაციას;

- f. უზრუნველყონ მათი, მათი ოჯახებისა და მოწმეების უსაფრთხოება დაშინების, შურისძიების ან განმეორებითი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად;
 - g. უზრუნველყონ მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის კონტაქტის თავიდან აცილება სასამართლოსა და სამართალდამცველი ორგანოების შენობებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვაგვარად გადაწყვეტენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ან თუ ამგვარი კონტაქტი საჭიროა გამოძიებისა და სამართალწარმოებისთვის.
2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია სასამართლო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან პირველივე კონტაქტის შემდეგ.
 3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი იყოს იურიდიული დახმარება, სადაც ეს გამართლებულია, უფასოდ, როდესაც მათთვის შესაძლებელია სისხლის სამართალწარმოების მხარის სტატუსის მიღება.
 4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაუნიშნონ მსხვერპლს სპეციალური წარმომადგენელი, როდესაც შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მას ექნება სისხლის სამართალწარმოების მხარის სტატუსი და როდესაც მშობლების პასუხისმგებლობის მქონე პირებს ეკრძალებათ ბავშვის წარმომადგენლობა ამგვარ სამართალწარმოებაში, მსხვერპლთა და მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის გამო.
 5. თითოეული მხარე, თავიანთი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომების გატარებით, უზრუნველყოფს, რომ ჯგუფებს, ფონდებს, ასოციაციებს ან სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაეხმარონ და/ან მხარი დაუჭირონ

მსხვერპლთ, მათივე თანხმობით, წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულებთან დაკავშირებულ სისხლის სამართალწარმოებისას.

6. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ამ მუხლის დებულებების შესაბამისი ინფორმაცია მსხვერპლთ გადაეცემა მათი ასაკისა და მოწიფულობის მიხედვით და მათთვის გასაგებ ენაზე.

მუხლი 32 – სამართალწარმოების დაწყება

თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულთა გამოძიებები და სამართლებრივი დევნა არ იყოს დამოკიდებული მსხვერპლის განცხადებებსა ან ბრალდებებზე, ხოლო სამართალწარმოება გაგრძელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მსხვერპლი უარს იტყვის თავის განცხადებებზე.

მუხლი 33 – ხანდაზმულობის ვადა

თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ წინამდებარე კონვენციის მე-18, 19 მუხლების 1.a და b პუნქტებითა და 21-ე მუხლის 1.a და b პუნქტებით დადგენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სამართალწარმოების დაწყების ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდეს იმდენი ხნით, რამდენიც საკმარისია სამართალწარმოების ეფექტიანი დაწყებისათვის მას შემდეგ, რაც მსხვერპლი გახდება სრულწლოვანი და რამდენიც ეთანადება განსახილველი დანაშაულის სიმძიმეს.

მუხლი 34 – გამოძიებები

1. თითოეული მხარე მიიღებს ისეთ ზომებს, რაც შეიძლება აუცილებელი გახდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირები, განყოფილებები ან სამსახურები, რომლებსაც ევალებათ

გამოძიება, სპეციალიზირებულნი იყვნენ ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციასა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ან იქ დასაქმებულ ადამიანებს გავლილი ჰქონდეთ ტრენინგი ამ მიზნით. ამგვარ განყოფილებებსა ან სამსახურებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები.

2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართალწარმოების დაწყებას ხელი არ შეუშალოს მსხვერპლის რეალური ასაკის გაურკვევლობამ.

მუხლი 35 –ბავშვთან გასაუბრება

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ:
 - a. ბავშვთან ინტერვიუები ჩატარდეს დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე მას შემდეგ, რაც ფაქტები ეცნობებათ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს;
 - b. ბავშვთან ინტერვიუები, აუცილებლობის შემთხვევაში, ჩატარდეს ამ მიზნისათვის გამოყოფილ ან მომზადებულ შენობაში;
 - c. ბავშვთან ინტერვიუები ჩატარონ პროფესიონალებმა, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგი ამ მიზნით;
 - d. ბავშვთან ინტერვიუები, შეძლებისდაგვარად და აუცილებლობის შემთხვევაში, ჩატარონ ერთი და იგივე ადამიანებმა;
 - e. ინტერვიუების რაოდენობა იყოს რაც შეიძლება შეზღუდული და ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს მკაცრად აუცილებელია სისხლის სამართალწარმოების მიზნებისათვის;
 - f. ბავშვს შესაძლებელია თან ახლდეს მისი იურიდიული წარმომადგენელი ან, საჭიროების შემთხვევაში, უფროსი

ადამიანი მისი შერჩევით, თუკი დასაბუთებული გადაწყვეტილება არ მიუღიათ ამ ადამიანის საწინააღმდეგოდ.

2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა ინტერვიუ მსხვერპლთან ან, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვ მოწმესთან ჩაიწეროს და ამ ინტერვიუთა ვიდეოჩანაწერები ჩაითვალოს მტკიცებულებად სასამართლო პროცესზე, შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი არაა მსხვერპლის ასაკი და არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მსხვერპლი ბავშვია, იმოქმედებს 1-ლი და მე-2 პუნქტებით დაწესებული ზომები მანამ, სანამ არ მოხდება მისი ასაკის დადგენა.

მუხლი 36 – სისხლის სამართლის სასამართლო სამართალწარმოება

1. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, იურიდიული პროფესიების ავტონომიურობის წესების ჯეროვანი პატივისცემით, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა პირი, ჩართული სამართალწარმოებაში, გაივლის ტრენინგს ბავშვთა უფლებების, სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ, კერძოდ, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ შიდა კანონმდებლობის წესების მიხედვით:
 - a. მოსამართლემ შეიძლება ბრძანება გასცეს, რომ სასამართლო განხილვა გაიმართოს საზოგადოების დასწრების გარეშე;
 - b. მსხვერპლის მოსმენა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო დარბაზში მის დაუსწრებლად, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

თავი VIII – მონაცემების ჩაწერა და შენახვა

მუხლი 37 – მსჯავრდებული სექსუალური დამნაშავეების შესახებ ეროვნული მონაცემების ჩაწერა და შენახვა

1. წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულთა პრევენციისა და სამართლებრივი დევნის მიზნით, თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირადი ინფორმაციის დაცვის შესაბამის დებულებათა და სხვა სათანადო წესებისა თუ გარანტიების მიხედვით, უზრუნველყოს იმ მონაცემების შეგროვება და შენახვა, რაც უკავშირდება წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა ვინაობასა და გენეტიკურ ინფორმაციას (დნმ).
2. ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების თუ მიერთების აქტის დეპონირებისას, თითოეულმა მხარემ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს უნდა აცნობოს იმ ეროვნული ხელისუფლების ორგანოს დასახელება და მისამართი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე.
3. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ 1-ლ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება გადაეცემოდეს მეორე მხარის ხელისუფლების შესაბამის ორგანოს, შიდა კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილი პირობების დაცვით.

თავი IX – საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 38 – საერთაშორისო თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები და ზომები

1. წინამდებარე კონვენციის დებულებების მიხედვით და არსებული შესაბამისი საერთაშორისო თუ რეგიონული

ინსტრუმენტების გამოყენებით, ასევე ერთნაირი თუ განსხვავებული კანონმდებლობებისა და შიდა კანონმდებლობების საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებათა გამოყენებით, მხარეები ითანამშრომლებენ მაქსიმალურად გაფართოებულ რეჟიმში, რათა უზრუნველყონ:

- a. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა;
 - b. მსხვერპლთა დაცვა და მათთვის დახმარების გაწევა;
 - c. წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულთა გამოძიება ან სამართალწარმოება.
2. თითოეული მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ თუ წინამდებარე კონვენციით დადგენილ დანაშაულთა მსხვერპლი გახდა სხვა მხარის ტერიტორიაზე, სადაც ის არ ცხოვრობს, მიეცეს შესაძლებლობა, რომ აღძრას სარჩელი შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს წინაშე იმ სახელმწიფოში, სადაც ცხოვრობს.
3. თუ მხარე, რომელიც გასწევს იურიდიულ დახმარებას სისხლის სამართლის საკითხებსა ან ექსტრადიციში ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღებს თხოვნას იურიდიული დახმარების გაწევის ან ექსტრადიციის შესახებ იმ მხარისაგან, რომელთანაც მას ამგვარი ხელშეკრულება არ გაუფორმებია, მას შეუძლია წინამდებარე კონვენცია ჩათვალოს იურიდიულ საფუძვლად იურიდიული დახმარებისათვის სისხლის სამართლის საკითხებსა ან ექსტრადიციში იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებიც დადგენილია წინამდებარე კონვენციით.
4. თითოეული მხარე შეძლებისდაგვარად შეეცდება, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ

ბრძოლა ჩართოს დახმარების პროგრამებში, რომლებიც მიმართულია მესამე სახელმწიფოების განვითარებისაკენ.

თავი X – მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი

მუხლი 39 – მხარეთა კომიტეტი

1. მხარეთა კომიტეტი შედგება კონვენციის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებისაგან.
2. მხარეთა კომიტეტს იწვევს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. მისი პირველი სხდომა გაიმართება ერთი წლის განმავლობაში წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან მისი მეათე ხელმოწერისათვის, რომელიც მოახდენს მის რატიფიცირებას. ამის შემდეგ სხდომები გაიმართება იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მხარეთა ერთი მესამედი, ან გენერალური მდივანი.
3. მხარეთა კომიტეტი მიიღებს თავის საპროცედურო წესებს.

მუხლი 40 – სხვა წარმომადგენლები

1. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ადამიანის უფლებათა კომისარი, დანაშაულის პრობლემათა ევროპული კომიტეტი (CDPC), აგრეთვე ევროპის საბჭოს სხვა შესაბამისი სამთავრობოთაშორისო კომიტეტები, თითოეული ნიშნავს წარმომადგენელს მხარეთა კომიტეტში.
2. მინისტრთა კომიტეტმა, მხარეთა კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, შეიძლება მოიწვიოს ევროპის საბჭოს რომელიმე სხვა ორგანო, რომ მან დანიშნოს წარმომადგენელი ამ კომიტეტში.
3. სამოქალაქო საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მხარეთა კომიტეტში შეიძლება დაუშვან როგორც დამკვირვებლები, ევროპის საბჭოს შესაბამისი წესებით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.

4. ზემოთ მოყვანილი 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად დანიშნული წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ მხარეთა კომიტეტის სხდომებში, კენჭისყრის უფლების გარეშე.

მუხლი 41 – მხარეთა კომიტეტის ფუნქციები

1. მხარეთა კომიტეტი მონიტორინგს გაუწევს წინამდებარე კონვენციის განხორციელებას. მხარეთა კომიტეტის რეგლამენტი განსაზღვრავს წინამდებარე კონვენციის განხორციელების შეფასების პროცედურას.
2. მხარეთა კომიტეტი ხელს შეუწყობს სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შეგროვებას, ანალიზსა და გაცვლა-გამოცვლას, რათა გაუმჯობესდეს მათი შესაძლებლობები ბავშვთა ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.
3. მხარეთა კომიტეტი, საჭიროებისამებრ, აგრეთვე:
 - a. ხელს შეუწყობს წინამდებარე კონვენციის ეფექტიან გამოყენებასა და განხორციელებას, მათ შორის, ამ კონვენციის საფუძველზე ნებისმიერი პრობლემის და ნებისმიერი განცხადებისა თუ დათქმის ეფექტის გამოვლენას.
 - b. გამოთქვამს საკუთარ აზრს წინამდებარე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე და ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას მნიშვნელოვან იურიდიულ, პოლიტიკურ ან ტექნოლოგიურ სიახლეებზე.
4. ევროპის საბჭოს სამდივნო დაეხმარება მხარეთა კომიტეტს ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებაში.

5. დანაშაულის პრობლემის ევროპულ კომიტეტს (CDPC) პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია ამ მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

თავი XI – ურთიერთობა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან

მუხლი 42 – ურთიერთობა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმთან ბავშვების გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ

წინამდებარე კონვენცია გავლენას არ მოახდენს უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც გამომდინარეობს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციიდან და მისი ფაკულტატური ოქმიდან ბავშვების გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ. მისი მიზანია, გააუმჯობესოს მათში გათვალისწინებული დაცვა, განავითაროს და შეავსოს იქ დაცული სტანდარტები.

მუხლი 43 – ურთიერთობა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან

1. წინამდებარე კონვენცია გავლენას არ მოახდენს საერთაშორისო ინსტრუმენტების დებულებებიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებზე, რომელთა მხარეც არის ან მომავალში გახდება წინამდებარე კონვენციის მხარე და რომელიც მოიცავს წინამდებარე კონვენციით რეგულირებად დებულებებს, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების უკეთ დაცვისა და დახმარების უზრუნველსაყოფად.
2. კონვენციის მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთთან გააფორმონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები იმ საკითხებზე, რომლებსაც კონვენცია აგვარებს იმისათვის, რომ შეავსონ ან გააძლიერონ მისი დებულებები ან ხელი შეუწყონ მასში ჩადებული პრინციპების გამოყენებას.

3. მხარეები, რომლებიც არიან ევროპის კავშირის წევრები, ურთიერთთანამშრომლობისას გამოიყენებენ თანამეგობრობისა და ევროპის კავშირის წესებს, რამდენადაც თანამეგობრობისა და ევროპის კავშირის არსებული წესები არეგულირებენ მოცემულ საკითხს და გამოიყენებიან საგანგებო შემთხვევებში, წინამდებარე კონვენციის საგნისა და მიზნის, აგრეთვე სხვა მხარეებთან მისი სრული გამოყენების შეზღუდვის გარეშე.

თავი XII – კონვენციაში შესწორებების შეტანა

მუხლი 44 – შესწორებები

1. მხარის ნებისმიერი წინადადება წინამდებარე კონვენციაში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით, უნდა ეცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ხოლო მის მიერ გადაეგზავნოს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ ხელმომწერ მხარეს, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, ევროპის თანამეგობრობას, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებათა შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ხელმოსაწერად მიწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს, და 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წინამდებარე კონვენციასთან მიერთების მიზნით მიწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს.
2. მხარის შემოთავაზებული ნებისმიერი შესწორება უნდა ეცნობოს დანაშაულის პრობლემის ევროპულ კომიტეტს (CDPC), რომელიც მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს თავის მოსაზრებას შემოთავაზებულ შესწორებებთან დაკავშირებით.
3. მინისტრთა კომიტეტი განიხილავს შემოთავაზებულ შესწორებას, ასევე დანაშაულის პრობლემის ევროპული კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას და წინამდებარე კონვენციის არა-წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ, შეძლებს დაამტკიცოს შესწორება.

4. მინისტრთა კომიტეტის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ნებისმიერი შესწორების ტექსტი გადაეცემა მხარეებს მისი მიღების მიზნით.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ნებისმიერი შესწორება ძალაში შევა ერთი თვის შემდეგი თვის პირველივე დღეს, იმ დღიდან, როცა ყველა მხარე აცნობებს გენერალურ მდივანს, რომ მიიღო იგი.

თავი XIII – დასკვნითი დებულებები

მუხლი 45 – ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და იმ არაწევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში ისევე, როგორც ევროპის თანამეგობრობისათვის.
2. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებასა და დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების და მიერთების აქტი შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.
3. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა სამი თვის შემდეგი თვის პირველივე დღეს იმ დღიდან, როცა 5 ხელმომწერი, მათ შორის, ევროპის საბჭოს არანაკლებ 3 წევრი სახელმწიფო გამოთქვამს თანხმობას, მიუერთდეს კონვენციას წინა პუნქტის დებულებათა შესაბამისად.
4. 1-ლ პუნქტში მითითებული ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, ან ევროპის თანამეგობრობისათვის, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თანხმობას, მიუერთდეს კონვენციას, იგი ძალაში შევა თავისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების აქტის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგი თვის პირველივე დღეს.

მუხლი 46 – კონვენციასთან მიერთება

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, კონვენციის მხარეებთან კონსულტაციისა და მათგან ერთსულოვანი თანხმობის მიღების შემდეგ, შეუძლია შესთავაზოს ნებისმიერ იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი და რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია კონვენციის შემუშავებაში, მიუერთდეს მას. ამ გადაწყვეტილებას მიიღებს უმრავლესობა, ევროპის საბჭოს წესდების მე-20.d მუხლის გათვალისწინებით და ხელშემკვრელ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ერთსულოვანი თანხმობით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოდგენილნი იყვნენ მინისტრთა კომიტეტში.
2. ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც კონვენციას უერთდება, იგი ძალაში შევა რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგი თვის პირველივე დღეს.

მუხლი 47 – ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროპულ თანამეგობრობას შეუძლია ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპონირებისას, მიუთითოს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება წინამდებარე კონვენცია.
2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია, შემდგომში ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციით, გაავრცელოს წინამდებარე კონვენციის მოქმედება დეკლარაციაში აღნიშნულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის აგებს პასუხს და რომლის სახელითაც ის უფლებამოსილია, თავის თავზე აიღოს ვალდებულებები. ასეთ ტერიტორიასთან მიმართებით, კონვენცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს

გენერალური მდივნის მიერ დეკლარაციის მიღების დღიდან სამი თვის შემდეგი თვის პირველივე დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია ამ დეკლარაციაში მითითებულ ტერიტორიასთან დაკავშირებით, შესაძლებელია გაუქმდეს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. გაუქმება ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან სამი თვის შემდეგი თვის პირველივე დღეს.

მუხლი 48 – დათქმები

დაუშვებელია დათქმა წინამდებარე კონვენციის რომელიმე დებულებასთან დაკავშირებით, გარდა უკვე აშკარად დადგენილი დათქმებისა. ნებისმიერი დათქმა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს.

მუხლი 49 – დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების მეშვეობით.
2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან სამი თვის შემდეგი თვის პირველივე დღეს.

მუხლი 50 – შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოს, ნებისმიერ მხარე სახელმწიფოს, ევროპის თანამეგობრობასა და ნებისმიერ იმ სახელმწიფოს, რომელიც მოწვეულია კონვენციაზე ხელის მოსაწერად 45-ე მუხლის დებულებების შესაბამისად და ნებისმიერ იმ სახელმწიფოს,

რომელიც მოწვეულია კონვენციასთან მიერთებისათვის, 46-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად:

- a. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b. ნებისმიერი რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპონირების შესახებ;
- c. 45-ე და 46-ე მუხლების შესაბამისად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- d. 44-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცებული ნებისმიერი შესწორების შესახებ და ამ შესწორების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- e. 48-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;
- f. 49-ე მუხლის დებულებების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დენონსაციის შესახებ;
- g. წინამდებარე კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ქმედების, შეტყობინების, ან ინფორმაციის გადაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ლანზაროტში 2007 წლის 25 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადასცემს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, იმ არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინამდებარე კონვენციის შემუშავებაში, ევროპის თანამეგობრობას და ნებისმიერ იმ სახელმწიფოს, რომელთაც შესთავაზეს კონვენციასთან მიერთება.

დანართი II

ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილი

განახლებული ინფორმაციისთვის ეწვიეთ ევროპის საბჭოს
სახელშეკრულებო ოფისის ვებ-გვერდს: www.conventions.coe.int

**„სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური
ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის“
ევროპის საბჭოს კონვენცია**

CETS No.: 201

შეთანხმება ღიაა ხელმოწერისთვის წევრი ქვეყნებისთვის,
არა-წევრი ქვეყნებისთვის,
რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში,
ევროკავშირისთვის და ასევე სხვა არა-წევრი ქვეყნებისთვის.

ხელმოწერის დასაწყისი

ადგილი: ლანზაროტე
თარიღი : 25/10/2007

ძალაში შესვლა

პირობები: 5 ქვეყნის მიერ რატიფიკაცია.
მათგან 3 მაინც უნდა იყოს ევროპის
საბჭოს წევრი სახელმწიფო
თარიღი: 1/7/2010

სტატუსი 25/8/2014-ს მდგომარეობით:

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

	ხელმოწერა	რატიფიკაცია	ძალაში შესვლა	შენიშვნები	R.	D.	A.	T.	C.	O.
ავსტრია	25/10/2007	25/2/2011	1/6/2011				X			
აზერბაიჯანი	17/11/2008									
ალბანეთი	17/12/2008	14/4/2009	1/7/2010				X			
ანდორა	29/6/2012	30/4/2014	1/8/2014		X		X			
ბელგია	25/10/2007	8/3/2013	1/7/2013		X		X			
ბოსნია და ჰერცეგოვინა	12/10/2011	14/11/2012	1/3/2013				X			
ბულგარეთი	25/10/2007	15/12/2011	1/4/2012		X		X			
გერმანია	25/10/2007									
დანია	20/12/2007	18/11/2009	1/7/2010		X		X	X		
დიდი ბრიტანეთი	5/5/2008									

	ხელმოწერა	რეგისტრაცია	ძალაში შესვლა	შენიშვნები	R.	D.	A.	T.	C.	O.
ესპანეთი	12/3/2009	5/8/2010	1/12/2010			X	X			
ესტონეთი	17/9/2008									
თურქეთი	25/10/2007	7/12/2011	1/4/2012				X			
ირლანდია	25/10/2007									
ისლანდია	4/2/2008	20/9/2012	1/1/2013				X			
იტალია	7/11/2007	3/1/2013	1/5/2013				X			
კვიპროსი	25/10/2007									
ლატვია	7/3/2013	18/8/2014	1/12/2014		X		X			
ლიტვა	25/10/2007	9/4/2013	1/8/2013				X			
ლიხტენშტეინი	17/11/2008									
ლუქსემბურგი	7/7/2009	9/9/2011	1/1/2012				X			
ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია	25/10/2007	11/6/2012	1/10/2012				X			
მალტა	6/9/2010	6/9/2010	1/1/2011				X			
მოლდოვა	25/10/2007	12/3/2012	1/7/2012			X	X			
მონაკო	22/10/2008									
მონტენეგრო	18/6/2009	25/11/2010	1/3/2011			X	X			
ნორვეგია	25/10/2007									
ნიდერლანდების სამეფო	25/10/2007	1/3/2010	1/7/2010				X	X		
პოლონეთი	25/10/2007									
პორტუგალია	25/10/2007	23/8/2012	1/12/2012				X			
რუმინეთი	25/10/2007	17/5/2011	1/9/2011				X			
რუსეთი	1/10/2012	9/8/2013	1/12/2013		X		X			
საბერძნეთი	25/10/2007	10/3/2009	1/7/2010				X			
სან მარინო	25/10/2007	22/3/2010	1/7/2010				X			
საფრანგეთი	25/10/2007	27/9/2010	1/1/2011		X	X	X			
საქართველო	12/3/2009									
სერბეთი	25/10/2007	29/7/2010	1/11/2010				X			
სლოვაკეთი	9/9/2009									
სლოვენია	25/10/2007	26/9/2013	1/1/2014		X	X	X			
სომხეთი	29/9/2010									
უკრაინა	14/11/2007	27/8/2012	1/12/2012			X	X			

	ხელმოწერა	რატიფიკაცია	ძალაში შესვლა	შენიშვნები	R.	D.	A.	T.	C.	O.
უნგრეთი	29/11/2010									
ფინეთი	25/10/2007	9/6/2011	1/10/2011				X			
შვედეთი	25/10/2007	28/6/2013	1/10/2013		X		X			
შვეიცარია	16/6/2010	18/3/2014	1/7/2014		X		X			
ჩეხეთის რესპუბლიკა	17/7/2014									
ხორვატია	25/10/2007	21/9/2011	1/1/2012				X			

ევროპის საბჭოს არა-წევრი სახელმწიფოები

	ხელმოწერა	რატიფიკაცია	ძალაში შესვლა	შენიშვნები	R.	D.	A.	T.	C.	O.
ამერიკის შეერთებული შტატები										
იაპონია										
კანადა										
მაროკო										
მექსიკა										
წმიდა საყდარი										

საერთაშორისო ორგანიზაციები

	ხელმოწერა	რატიფიკაცია	ძალაში შესვლა	შენიშვნები	R.	D.	A.	T.	C.	O.
ევროპის კავშირი										

ხელმოწერათა სრული რაოდენობა, რომლებსაც არ მოჰყოლია რატიფიკაცია:	15
რატიფიკაციის / კონვენციასთან შეერთების სრული რაოდენობა:	32

პარლამენტარები გულწრფელად და მტკიცედ უჭერენ მხარს სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის საქმეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის საბჭო თანამშრომლობენ ბავშვთა უფლებებისა და ღირსების დასაცავად. მათ მიერ შემუშავებული უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის კონვენცია“ („ლანზაროტეს კონვენცია“, CETS No. 201) - მიზნად ისახავს ბავშვებზე ძალადობის აღმოფხვრას.

წინამდებარე სახელმძღვანელო ჩაფიქრებულია, როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც გვთავაზობს გზებს ლანზაროტეს კონვენციის დამატებითი ღირებულების უკეთ გასააზრებლად. მასში გამოკვეთილია ის მგრძნობიარე საკითხები, რომელთა განმტკიცებაც აუცილებელია ადგილობრივ კანონმდებლობებში. სახელმძღვანელოში მოცემულია წარმატებული გამოცდილების მაგალითებიც. მწამს, რომ ეს სახელმძღვანელო ყველასთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო და დასაყრდენი იქნება ბავშვების კეთილდღეობისთვის ბრძოლის საქმეში აქტიურად ჩასართევლად.

მე, როგორც საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, მოვუწოდებ ყველა პარლამენტარს, ძალისხმევა არ დაიშუროს „ლანზაროტეს კონვენციისა“ და კამპანია „ყოველი მეხუთე“-ს მხარდასაჭერად, რათა ბოლო მოვუღოთ ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას. ჩვენი ძალისხმევა ხელს შეუწყობს საზოგადოების ფართო მობილიზაციას ჩვენი პატარების ბედნიერი და უსაფრთხო ბავშვობის უზრუნველსაყოფად.

ან ბრასერ

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე

<http://assembly.coe.int/oneinfive>